# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 37 ოთხშაბათი, 18 თებერვალი 1909 წ. № 37

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები—მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**



მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

# დროება

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს აქვს ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოდის კვირაში ერთხელ—კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**5** მან. **10** კაპ., ერთი თვით—**1** მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦——

——✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**თვიური ფასები ტფილისსა და ტფილისს გარეთისა:**

12 თვით—8.50, 11 თვით—8.10, 10 თვით—7.60, 9 თვით—7.10, 8 თვით—6.50, 7 თვით—5.80, 6 თვით—5.10, 5 თვით—4.40, 4 თვით—3.70, 3 თვით—3 მ., 2 თვით—2 მ., 1 თვით—1 მ.

**ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:**

„დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მშველიძესთან; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალინიძესთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



**აზნ. კონსტანტინე ბეჟანის ძე, მართა ვატას ასული, ც ტრონა, ევსევი და აკაკი ხოფერიები** აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 19 თებერვალს, შაშუფის სამ[illegible] ეკლესიაში, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ქ. ვლადივოსტოკში: პირველ ორთა—საყვარელ შვილის, ხოლო უკანასკნელ საძმა—მეგობრისა ძმის

## ლუკა კონსტანტინეს ძის ხოფერიასი

სულის მოსახსენებლად. (1—ფ—1)



**წარმოდგენა № 1.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 1**

ოთხშაბათს, 18 თებერვალს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ორი ახალი პიესა.**

### ავადმყოფ მსახიობ ვასო აბაშიძის სასარგებლოდ

### ●●● საბედისწერო დამბაჩა ●●●

დრამა 3 მოქმედებად ტრ. რამიშვილისა.

### სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა

პოლიტიკური ბუფონადა 1 მოქმედებად პოტაპენკოსი თარ. ხახანაშვილისა,

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი. ვ. გუნია, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი, კ. ყიფიანი, ვ. ურუშაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** **დასაწყისი ხწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „ზღვეიდას ქორწინება", „სულელი", „თოვლი".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.



**ტფილისის სახაზინო თეატრი**

გასტროლი მოსკოვის თეატრის „ერმიტაჟის" სრულ ანსამბლისა. მხიარული ჟანრი: კომედიები, ფარსები, მიმოხილვები

**ს. ფ. საბუროვისა**

ოთხშაბათს, 18 თებერვალს, ორი პიესა ერთ საღამოს:

1. **„ბედნიერება მამაკაცებში"**

ორ. კომ. 3 მოქმედ.

2. **„ზღვის ტალღები"**

ფარსი 3 მოქ. 1 და 3 მოქმედება პარიზში, მეორე—ზღვის პირად.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ბარანოვა, პანოვა, ბურაკოვსკაია, ვერტინსკაია, ვერენიევა, გრანოვსკაია, ლეგრ-ლეინგრადტი, მონახოვა, პოგრებოვა, ჩერვინსკაია და სხვ.; ბ-ნნი ბერეზინი ბრომლეი, ვიქტოროვი, გორსკი, გრინევსკი, კაზანსკი, კრამერი, რეპნინი, როკსანოვი, საბუროვი, ფოკინი, ჩინაროვი და სხვა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** რეჟისორი **კაზანსკი.**

ბილეთები იყიდება დილის 10 ს.-დან წარმოდგენის გათავებამდე. 19 თებერ. ბენეფისი ლეგერ-ლეინგარდტი. „ოკეანა ზღვულია", „ამალია და სხვა". (ნ.—2)



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



ოთხშაბათს, 18 თებერვალს, წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტები. მოვიდნენ ახალი მოჭიდავენი. დებიუტი ქართველ ცხენოსნებისა, აგრეთვე ტილერინების დების ვალენტინებისა და თამარ გამსახურდიასი. გამოსვლა ჩემპიონის ლურიხისა. დღესვე იქნება კონკურსი კარგ აგებულებისა, ესე 11 საათზე ოთხი საინტერესო **ჭიდაობა;** იჭიდავებენ: **1. გოლდი და ოსიპენკო; 2. მაისურაძე და პოსკეშილი; 3. ლურიხი და ტომაშევსკი; 4. ლიტვინოვი და კრახუტო.** ცალკე ყოველ დღე არჩევნებენ საკვირველ ცხენს **ლუისს.** ფასი 30 კაპ. ბავშვები და მოსწავლენი—15 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს.

(0—2) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**



**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.: ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—38—20)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—60)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 98)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—61)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი,** მიხეილის ქ., ს. ჭავჭავაძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ცქიმიდა: ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ხალ.—10)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—10)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—97)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა**

**„კოლხიდაში"**

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა ჯიშის **დამყნილ ვაზისა.** „აქვე იყიდება სხვა და სხვა თესლეულობა: **შემოწმებული აბრეშუმის გრენი.** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი"** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა." საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ჩივაძისაგან. (20—ნ.—14)

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოების ჩვეულებრივი მორიგი კრება დანიშნულია კვირას, 1 მარტს, ამა 1909 წელს, დილის 9 საათისთვის, დ. ყვირილაში ბანკისავე სადგომში.

განსახილველი საგნებია:

1. გამგეობის და საბჭოს მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1908 წლის ანგარიშის დამტკიცება.
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. გამგეობის წევრთა არჩევა, ნაცვლად ტრიფონ ნიორაძისა და ალექსანდრე თაბაგრი'ა; საბჭოს წევრთა არჩევა, ნაცვლად დარისპან მაღლაკელიძისა და კოზმა გეწაძისა.

(3—ნ.—3)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**

**გ. ს. ასათიანი**

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა საmoქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—ნ.—83)


# ტფილისი, 18 თებერვალი

ორი კვირის წინად გაზეთ „ივერიის" თანამშრომლებს ვუკიჟინეთ, საპოლემიკო ჟინს ნუ ასდევნებიხართო. „ივერია" თუმცა უარჰყოფს, რომ იგი ამ არა სასახელო სენით იყოს შეპყრობილი, მაგრამ მაინც ასე გვიპასუხებს: „ჩვენსა და სხვა პარტიებში არსებულ სხვადასხვაობის აღმოჩენას ერთი მიზანი აქვს—არა სოციალისტურ ელემენტების სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა და ამ ელემენტებისაგან საკუთარ დროშის აფრიალებაო". აქ, ამ ერთს პატარა ფრაზაში სამაგალითო სიცხადით ირკვევა ჩვენის არა სოციალისტურ ინტელიგენციის უზომო სიმსუბუქე, რომლისთვისაც წინადაც არა ერთხელ გაგვისვამს წითელი ხაზი. „ივერიის" თანამშრომელთა ვიწრო წრეს ალბად ჰგონია, რომ რაკი შვიდი დაბეჭდილი საგაზეთო ფურცელი გამოეცით, ამიტომ უკვე პარტიის წარმოვადგენთო. „**ჩვენსა** და სხვა პარტიებში არსებული უთანხმოებაო",—სწერს „ივერია" და, რა თქმა უნდა, ღრმად სწამს, რომ ორიოდე საპოლემიკო ფურცლის დაბეჭდვა და პარტიის შექმნა ერთი და იგივეა.

საჭიროება დემოკრატიულ პარტიის შექმნისა ქართულს არა დემოკრატიულს, არამედ სოციალისტურს პრესსას ბევრჯელ უცვნია და აღუნიშნავს. ქართულ ინტელიგენციის ზომიერი ელემენტებიც კაი ხანია ჰგრძნობენ ამ საჭიროებას. რამდენჯერმე კიდეც სცადეს ამ ელემენტებმა პარტიული შეჯგუფება, პროგრამის შემუშავება, საკუთარ ტაქტიკის მიგნება—მაგრამ დღემდე ყოველი იმათი ცდა ამაოდ დარჩა. საგულისხმოა, რომ ჩვენს ზომიერს ინტელიგენციას რაღაც დღემდე გამოურკვეველი დაბრკოლება ეღობებოდა გზად და პარტიის შექმნის მეცადინობას უქმად ჰხდიდა. საგულისხმოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავის აზრად არ მოუვა, იფიქროს, ვითომ ხელშემშლელი გარემოება ყოფილიყოს საკუთარ გაზეთის უქონლობა: გაზეთი შესაძლებელია უპარტიოდ გამოდიოდეს, პარტია შეიძლება უგაზეთოდ არსებობდეს. ძლიერს და გავლენიანს პოლიტიკურ პარტიას ჩვეულებრივ თავისი პარტიული გაზეთიცა აქვს, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ჰნიშნავს, რომ გაზეთის გამოცემა პარტიის არსებობას ამტკიცებდეს. პარტიამ თავისი არსებობა ქვეყანას ყოვლის უწინარეს თავის პროგრამით და ტაქტიკით უნდა ამცნოს და არა საპოლემიკო ფურცლებით.

„ივერიის" თანამშრომელთა წრეს კი, როგორცა სჩანს, უკუღმა წარმოდგენა ჰქონია ამ საგანზე. იმის აზრით ქართული დემოკრატიული პარტია უკვე არსებობს, თუმცა ჯერ არავინ იცნობს არც ამ პარტიის პროგრამას და არც იმის ტაქტიკას. „ივერიას" ეხლა საჭიროდ მიაჩნია, აღმოაჩინოს თავის (?) და სხვა პარტიებს შორის არსებული უთანხმოება, რათა არა სოციალისტური ელემენტები სამოქმედოდ გამოვიდნენ და თავიანთი დროშა ააფრიალონ. უთანხმოების აღმოჩენა და სხვადასხვაობის აღნიშვნა—რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ შეუწყნარებელი თავის მოტყუებაა იმის იმედზე დარჩენა, ვითომ ამგვარის პოლემიკით ვისიმე გამოწვევა შეიძლებოდეს მოქმედების ასპარეზზე. მოქმედებისთვის პოლემიკა კი არ არის საჭირო, არამედ შეგნებული და მტკიცე მისწრაფება განსაზღვრულ იდეალებისკენ, რომელთა მისაღწევადაც გარკვეული გზა უნდა იყოს დაგეგმილი. „ივერიის" თანამშრომლებიც სწორედ ამ მხრივ განავითარებდნენ თავიანთ გულისყურს, სერიოზულად რო ეკიდებოდნენ საქმეს, და არა იმ მხრივ, რომ საპოლემიკო წერილები სწერონ ისეთ საგანზე, რომელიც არსებითად პოლემიკის საბუთს არც კი იძლევა. „ივერიამ" თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ დიდის ზარითა და ზეიმით ამცნო ქვეყანას. გლეხებმა მიწა უნდა იყიდონო; თავიდანვე ეს გამოსვლა საპოლემიკოდ მოკაზმა და მას შემდეგ ყოველ ნომერში ახალ-ახალ საპოლემიკო მშვენიერებას გვიჩვენებს. შეუფერებელ საგანზე პოლემიკა ყოველთვის საჩქაროდ იმსხვრევა ისეთი წვრილმანებად, რომელთაც არავითარი ინტერესი არ შეუძლიანთ აღძრან არც ერთს მკითხველში. ასე დაემართა სწორედ გაზეთს „ივერიასაც".

თავის უკანასკნელ წერილში „ივერიამ" პირველ საკამათო საკითხის შესახებ უკვე თვალსაჩინოდ დადაბლებულს კილოზე სწერს; ეხლა იგი იძულებულია პიონერობაზე უარი სთქვას და თავმდაბლად განაცხადოს, ჩვენი აზრი მიწის შესყიდვაზე „**სავსებით** არ ეთანხმება ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების რჩევასო". სამაგიეროდ ან, უკედ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ ეხლა იგი მრავალ სხვა საგანზე ლაპარაკობს მაღალ საპოლემიკო კილოზე. მედიდურად გვეკითხავს, მაგალითად, ლექციას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მიერ მიწების სყიდვა და მუქთად მიწის მიღება ერთი და იგივე არ არისო; გვასწავლის, რომ სოციალისტების ზოგიერთი მოთხოვნა დემოკრატებსაც შეუძლიანთ წამოაყენონ; ჭკუას ძალას ატანს და ირწმუნება, მემკვიდრეობაზე ბაჟის დადება მემკვიდრეობასთან ბრძოლააო; ჯიუტობს, რომ გლეხების მიერ მიწის სყიდვის გამოცხადება პრინციპად იმას არა ნიშნავს, რომ მხოლოდ სყიდვით უნდა შეიძინდნენ გლეხები მიწას, რაიცა გვიჩვენებს, რომ „ივერიას" მეტად შორეული ნაცნობობა აქვს პრინციპებთან. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დემოკრატიულ პარტიის გაზეთი სცდილობს პრინციპიალურად დაიცვას პოლიტიკურ მაბეზღრობის სისტემა. ამას ისეთის თავგამოდებით სცდილობს იგი, რომ შესაძლოდ მიაჩნია, მასალად გამოიყენოს ყოველი საპროკლამაციო ფურცელი, ვინ იცის, ვისაგან და რა მიზნით შედგენილი და გამოცემული.

ამ გვარი დაწვრილმანებული და აბდა-უბდა პოლემიკა არავისთვის სასარგებლო არ არის, განსაკუთრებით კი იგი სასარგებლო არ არის იმ ზომიერ ელემენტებისთვის, რომლის პარტიადაც მიაჩნია თავისი თავი გაზეთს „ივერიას". ჩვენ მას ამ პოლემიკაში არ ჩავყვებით, სამაგიეროდ მოვითხოვთ, გაზეთმა „ივერიამ" ნათლად გამოაქვეყნოს თავისი პოლიტიკური და სოციალური იდეალები, დაგვანახვოს, რა ტაქტიკით ჰსურს ამ იდეალების ასრულება, და გვიჩვენოს, რით ასაბუთებს ან იდეალს ან ტაქტიკას. ზოგადი ფრაზები დემოკრატიზმის და ნაციონალიზმის შესახებ, წინადვე მოვახსენეთ, ვერავის დააკმაყოფილებს. საჭიროა არა ზოგადი ფრაზა, არამედ დემოკრატიზმის და ნაციონალიზმის კონკრეტული შინაარსი, როგორც ეს შინაარსი გაზეთს „ივერიას" ესმის. თუ „ივერიას" მსუბუქ პოლემიკის მსხვერპლად არა ჰსურს შეიქნეს, თუ იგი ზომიერ ელემენტების გამომხატველად ყოფნას აპირობს, მას ნება არა აქვს გვერდი აუქციოს ამ ჩვენს შეკითხვას ძირითად საკითხების შესახებ.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 თებერვალი.

**სახელმწიფო კანტროლის აღრიცხვა**

16 თებერვლის სხდომაზე სათათბირო შეუდგა სახელმწიფო კანტროლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვის განხილვას. მთელ სხდომაზე მხოლოდ სამმა ორატორმა მოასწრო სიტყვის წარმოთქმა: სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ალექსეენკომ, კადეტმა შინგარევმა და ფინანსთა მინისტრმა. მარტო ამ უკანასკნელმა ორი საათი და 20 წუთი ილაპარაკა. მას პასუხი გასცა შინგარევმა.

სხდომის დაწყებისას სათათბირომ მიიღო წინადადება სასოფლო-სამეურნეო კომისიის არჩევის შესახებ. ამ კომისიამ უნდა განიხილოს კანონ-პროექტები სასოფლო მეურნეობის შესახებ.

შემდეგ მომხსენებელმა გოდნევმა წაიკითხა აღრიცხვა სახელმწიფო კანტროლისა. როგორც ამ აღრიცხვიდან სჩანს, ამ უწყების ხარჯი 1909 წლისათვის ნავარაუდევი ყოფილა 10,031,724 მ., შარშანდელზე ცოტა მეტი.

შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ალექსეევმა. იგი შეეხო სახელწიფოს მთელ ბიუჯეტს და, სხვათა შორის, აღნიშნა პროცენტობით, რა საქმეზე რამდენი ფული იხარჯება. იმის სიტყვით, საერთო ხარჯიდან 43 ნახ. პროცენტი უნდება სახელმწიფოს დაცვას (ჯარს, ფლოტს და სხვას); 12 ნახ. პროცენტი—კულტურულ და სამეურნეო საქმეს, დანარჩენი 49 პროცენტი მართვა-გამგეობის საქმეს, პენსიებს და სხვა ამისთანებს. ძალიან გაიზარდა სამხედრო ხარჯი. მარტო წელს 48 მილიონი მანეთი მოემატა წინანდელ ხარჯს. საერთო შემოსავალი 1909 წლისათვის ნავარაუდევია თითქმის ორ მილიარდ ნახევარი. უმთავრესი წყაროები შემოსავლისა შემდეგია: არყის მონოპოლია—733 მილიონი მანეთი, რკინის გზა—563 მილიონი, არა-პირდაპირი—191 მილიონი, ბაჟი—133 მილიონი. ორატორის სიტყვით, სახელმწიფოს შემოსავალი თანდათან ირყევა და ამითი უმთავრესი მიზეზი სახელმწიფოს ეკონომიურ ვითარების არანორმალური მდგომარეობაა. დაეცა სასოფლო-მეურნეობა, ვაჭრობა და შემცირდა ხალხის მიერ შემნახველ კასსებში შეტანილ ფულის რაოდენობა. სასოფლო მეურნეობაში საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთში ეხლა გატანის მაგიერ პური შემოაქვთ საზღვარ-გარეთიდან. ალებ-მიცემობაში ბოლო დროს მატულობს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობა, ხოლო გატანილ საქონლის რაოდენობა კლებულობს. ამ რიგად, რუსეთი ეკონომიურ საქმეში თან და თან მონა ხდება სხვა სახელმწიფოებისა. შემნახველ კასსებში წინად წლიურად შედიოდა 20-დან 50 მილიონამდე, 1908 წელს-კი შევიდა მხოლოდ 14 მილიონი მანეთი. სესხის საქმეში, ორატორის სიტყვით, რუსეთი პირდაპირ მათხოვრად გადაიქცა. სესხს ძვირად აძლევენ და დიდ სარგებელს თხოულობენ. ოქტომბრისტების ორატორმა ალექსენკომ ფრთხილად, მაგრამ მაინც კიდევ აღნიშნა, რომ დაქვეითების მიზეზი რომ უუფლებობა და უკანონობაა.

მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა კადეტების ორატორმა შინგარევმა. ყველგან, სადაც პარლამენტიაო, სთქვა მან, უპირველესი საქმე, ბიუჯეტის საერთო განხილვაა. რუსეთის სათათბირო კი ამასაც მოკლებულიაო. ორატორის აზრით, ეხლანდელი ბიუჯეტიც ისეთია, როგორიც ყოველთვის იყო ხოლმე რუსეთში. უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მთავრობა მალავს დეფიციტს. ბიუჯეტის გაუმჯობესებას არც არაფერი ეშველება, რადგან სათათბირო მოკლებულია ყოველსავე უფლებას. მრავალი მუხლი ბიუჯეტისა ჯავშნით არის შემოსილებული—ამ მუხლების განხილვა სათათბიროს არ შეუძლიან. დანარჩენი ბიუჯეტიც

ასეთ მდგომარეობაშია, რადგან სათათბიროს ხმასა და სიტყვას ყურს არავინ უგდებს. მთავრობა არც-კი ეკითხება სათათბიროს და როგორც უნდა ისე სწყვეტავს საქმეებს. თვით სახელმწიფო კანტროლი დამოუკიდებელი დაწესებულება არ არის, ამიტომ იმის კანტროლს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ხალხის ქონების ფლანგვა და ხაზინის გაქურდვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. დღემდე რუსეთში არც ერთი დარგი ცხოვრებისა არ გაუმჯობესებულა. ყველაფერი ისევ დაჩაგრულ-დამონავებულია, როგორც აქამდე იყო და ასეთ პირებში როგორ წაიწევს ცხოვრება წინ? რუსეთი დღემდე სამხედრო პროვინციად არის მიჩნეული, სადაც ბატონობენ და ბრძანებლობენ გენერლები. არ არის ადგილობრივი თვითმმართველობა, არა კეთდება რა ადგილობრივ ფინანსების გასაუმჯობესებლად, ყურადღება არ ექცევა ქალაქებისა და ერობების საჭიროებებს და სხვა. ვაჭრობა და მრეწველობაც დიდ კრიზისს განიცდის, რადგან ხალხს არა გააჩნია რა რისამე სასყიდლად. შემნახველ კასსებში ფული ნაკლებად შედის და ამისი უმთავრესი მიზეზი ხალხის გაღატაკებაა. ორატორი შეეხო სახელმწიფო სესხსაც. სესხი რუსეთისთვის რაღაც სამარცხვინო საქმედ გადაიქცა. ფინლანდიასაც კი უკეთეს პირობებში აძლევენ სესხს, ვიდრე რუსეთს. უკანასკნელ სესხის აღების დროს 75 მილიონი მანეთი მარტო მის რეალიზაციაზე დაიხარჯა. საშუალო საუკუნოები დაგვიდგა. როგორც მაშინ დადიოდნენ ჩვენი წინაპრები თათრების ურდოში, ისე ეხლა უხდება ფინანსთა მინისტრს წლითი-წლობით ფულის ბაზარზე სიარული ფულის სათხოვნელად. ნუ თუ მუდამ ასეთი ძალ-მომრეობა, თვით-ნებობა, უსისტემობა უნდა იყოს? ვიდრე მთელი წყობილება არ შეიცვლება, სახელმწიფო ამ უნუგეშო მდგომარეობაში იქნება და არც ხალხის დაცემა-დაქვეითება შეჩერდება.

შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ილაპარაკა. ტელეგრაფს იმისი სიტყვები ჯერ არ-გადმოუცია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
16 თებერვალი.

## ბალკანეთი.

**ბელგრადი.** სერბიის მთავრობამ გამოსცა შემდეგი ოფიციალური განცხადება: „სერბიის მთავრობა დამყარებულია ევროპის მიერ აღიარებულ მოქმედებაზე და იმედოვნებს, რომ ევროპა სასართლიანობას გამოიჩენს, რადგან მთავრობა დარწმუნებულია, რომ ასე იქცეოდა, როგორც ევროპა მოელოდა. ამასთან მთავრობა იმედოვნებს, რომ მოქალაქენი მშვიდობიანად მოიქცევიან. სერბია ყოველთვის წესიერად ექცეოდა ავსტრო-ჰუნგრეთს, მთავრობა ელის, რომ მომავალშიაც ზომიერი ელემენტები დახმარებას გაუწევენ“.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით, სერბიის რწმუნებულმა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, სადაც ნათქვამია, რომ სერბია დიდ სახელმწიფოების გადაწყვეტილებას მოუცდის და, რამდენადაც შესაძლებელია, ეცდება მშვიდობიანობა არ დაირღვესო.

**სტამბოლი.** ლლოიდის გემის „ბუკოვინას“ გადმოტვირთვამ სალონიკში მეგობრული მანიფესტაცია გამოიწვია ოსმალელ მუშებსა და გემის მოსამსახურეებს შორის. მუშაობა დაიწყო ოსმალ მუშების ყვირილით: „გაუმარჯოს ავსტრიას, გაუმარჯოს ოსმალეთსაო“.

## საზღვარ-გარედ.

**ვაშინგტონი.** დეპუტატთა პალატისა და სენატის კომისიებმა ფლოტის კანონ-პროექტიდან ამოშალეს შესწორება, რომლითაც რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა ფლოტის ნახევარი დიდ ოკეანეში გაეგზავნა. რუზველტმა შესწორების წინაალმდეგ ილაპარაკა. მისის აზრით, ფლოტის გაყოფა, როგორც რუსეთ-იაპონიის ომმა დაამტკიცა, სამხედრო ძალას ასუსტებს.

## რუსეთი

**ოდესა.** შეიპყრეს ყალბ სიმწიფის ატესტატების დამმზადებელ ჯგუფის მეთაური, ტეხნიკოსი სტრიჟკა.

**ვარშავა.** დამცველმა პოლიციამ შეიპყრო მონაწილენი მაზოვეცის ხაზინის გაძარცვისა, ორი დარაჯის და ინჟინერ მაევსკის მკვლელობისა.

**სარატოვი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე რევოლიუციონურ ჯგუფისა, რომელსაც ფოსტასა და სახაზინო დუქნებზე თავდასხმა ჰბრალდებოდა. სასამართლომ გადაუწყვიტა ერთს უვადო, ხოლო მეორეს 12 წლით კატორღა.

გუბერნიის თავად-აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ თავად-აზნაურების და საგლეხო ბანკებმა გუბერნიაში მიწის ფასს აუწიონ.

**იაროსლავი.** რიბინსკის მაზრაში ხოლერით კიდევ ორი გახდა ავად; თვით რიბინსკში გარდაიცვალა ორი კაცი.

**იაროსლავი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა ორი კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 4 კაცი.

**სარატოვი.** სერდობის მაზრის რამდენსამე სოფელში აღმოაჩინეს გლეხთა სარევოლიუციო ძმობანი. დააპატიმრეს 18 კაცი.

**ეკატერინოსლავი.** პეტრო-პავლოვის სასოფლო საზოგადოებამ სამინისტროში შუამდგომლობა აღძრა დაიკეტოს სასმელების ყველა დუქანი.

# უკრაინელები ქართველებზე

(წერილი კიევიდან).

წარსულ ზაფხულს ქართულ გაზეთებში ერთი საყურადღებო ამბავი იყო დაბეჭდილი: ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგის ერთ მდიდარ წიგნის გამომცემელ ფირმის წარმომადგენელი და აგროვებს ცნობებს ქართულ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა შესახებ, რადგან ფირმას აზრადა აქვს ქართულ ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოების გადაათარგმნინოს რუსულად და გამოსცესო. არ ვიცი, მართალია ეს ამბავი თუ არა, გაზეთებში ამის მეტი არა ეწერა-რა.

რაღაც მიზეზით რუსები ყოველთვის გაურბოდნენ ქართველსა და სხვა წვრილ ეროვნებათ ლიტერატურისა და კულტურის გაცნობას, თითქოს ღირსად არც კი სცნობდნენ. ბევრმა რუსეთში არც კი იცის, გვაქვს თუ არა ქართველებს ლიტერატურა. ბევრს, თვით უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლესაც კი, მოუმართავს ასეთის კითხვით: ქართველები რუსულის ანბანითა სწერთ თუ თქვენი საკუთარი ანბანი გაქვთ. რასაკვირველია, საგამომცემლო ფირმის განზრახვა, თუ-კი იგი მართალი, ჩვენთვის დიდად საყურადღებო და სამნიშვნელოა. ჩვენ ქართველები არა ვცდილობთ, გავაცნოთ ჩვენი თავი სხვებს. ამ საქმეშიაც, როგორც ყველა სხვა საქმეში, გულ-გრილობას ვიჩენთ, ამიტომ სიხარულის მეტი არა დაგვრჩენია-რა, თუ კი სხვები მოჰკიდებენ ამ საქმეს ხელს.

ამ მხრივ აკაკის 50 წლის იუბილეი დიდად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქართულს ცხოვრებაში. ქართველი ერის სადღესასწაულო აღტაცება იმდენად ხმოვანი აღმოჩნდა, რომ მისმა გამოძახილმა რუსეთის შორეულ ადგილებსაც კი მიაღწია. რუსეთის ინტელიგენციამ ეხლა, სხვა თუ არაფერი, აკაკი წერეთლის სახელი და გვარი მაინც იცის და იცის, რომ აკაკი დიდი პოეტია ქართველებისა.

აკაკიმ მეტად დააინტერესა მომეტებულად უკრაინელები. მათი პრესა აკაკის პოეზიას უდარებდა თავიანთ შესანიშნავ პოეტის შევჩენკოს პოეზიას. ბევრი, გულით ნამდვილი უკრაინელი გაახარა აკაკის განცხადებამ, რომ იგი პირადად იცნობდა შევჩენკოს. ბევრმა გადმომკა ეს.

უკრაინულ ჟურნალს „რიდნი კრაის“ რედაქციას განზრახვა აქვს გადასთარგმნოს უკრაინულ ენაზედ ჯერ-ჯერობით აკაკის ლექსები და, სხვათა შორის, მეცა მთხოვა დახმარება. ამავე რედაქციას აზრადა აქვს მოკლე წერილები უძღვნას მთელს ქართულს ლიტერატურას საერთოდ და ცალ-ცალკე წერილები აკაკის, ი. ჭავჭავაძეს და ნ. ბარათაშვილის მათი ლექსების თარგმანებით. უკრაინელთა ერთ პატარა წრეს აზრადა აქვს გამოსცეს სახალხო წიგნაკი, სადაც აწერილი იქმნება ქართველი ერის მოკლე ისტორია. ამ წრემ, სხვათა შორის, გამოსცა ამ გვარი წიგნაკი ბელორუსების შესახებაც. ამ გვარად სცდილობენ უკრაინელები, გააცნონ თავიანთ ხალხს ჩვენი ერი.

კიევში ადგილობრივ უნივერსიტეტისა და საკომერციო სასწავლებლის ქართველ სტუდენტებისაგან შესდგა ქართულ კულტურის მოყვარეთა წრე. წრეს აზრადა აქვს შეისწავლოს საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, ზაფხულობით იმოგზაუროს საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებსა და სოფლებში, და შეისწავლოს იგი. წრეში ჯერ-ჯერობით მხოლოდ 13—14 კაცია. სამწუხაროდ, წრეს ქონებრივი სახსარი არ შესწევს. მან ადგილობრივ ქართველებს წერილები დაუგზავნა და სთხოვა დახმარება.

კიევის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზედ ამ ცოტა ხანში ლექციების კითხვას დაიწყებს ქართველი პრივატ-დოცენტი ბ-ნი გოგიტიძე. პრ.-დოცენტი გოგიტიძე კითხულობს პატოლოგიურ ანატომიას.

**გ. ნამორაძე.**

# აზეფი

## ბაკაის მემუარები.

წინა წერილში ბაკაი ზავარზინის უფროსობის დროს შეეხო. ცოტა რამ კიდეც გავაცანით მკითხველს ზავარზინის დროის აგენტების მოქმედების შესახებ.

ერთ საღამოს ზავარზინის კაბინეტში შესულა ვიღაც უცნობი ქალი, რომელსაც განუცხადებია, რევოლიუციონერებთან ვმუშაობ და შემიძლიან ერთ დიდ პირს მოკვლა ავაშოროო. ამ ქალის სიტყვით ერთი ქალი და კაცი გაემგზავრნენ პეტერბურგში ქვრივ დედოფლის მარიამ ფეოდორის ასულის მოსაკლავად. მოკვლა უსათუოდ მოხერხდებაო, ამტკიცებდა ის, რადგან ყველაფერი კარგადაა მოწყობილი და დაბრკოლება არაფერშიაო. ზავარზინმა იმ წამსვე ტერორისტების ნიშნები მოსთხოვა, რაზედაც ქალმა განაცხადა, მე არ ვიცი, მაგრამ თუ თქვენ აღმატებულებას სურს, შემიძლიან პეტერბურგში გავემგზავრო და ტერორისტები იქ ვიპოვნოო. ზავარზინი დასთანხმებულა, მიუცია კარგა ბლომად ფული, თანაც ერთი აგენტი გაუყოლებია. ეს ქალი ჩასულა პეტერბურგში, სადაც რამდენიმე დღე შეუჭამია პოლიციის ფული და ამის შემდეგ სადღაც გამქრალა. ბოლოს გამორკვეულა, რომ მისი საყვარელი პეტერბურგში წასულა და მასთან ყოველივე კავშირი გაუწყვეტია, ქალს ფული არა ჰქონია და წასვლა კი სდომებია, და ბოლოს მას ამ ხერხისთვის მიუმართავს. ამავე დროს სანკოვსკი იქამდე გათამამებულა, რომ ქუჩაში ტყუილა, უბრალოდ იჭერდა თურმე ხალხს, და [illegible] უშვებდა. ერთ სახლში ისადა ორი [illegible] გასაჩხრეკად; ერთ სახლში მარტო ბებერი დედაკაცი და ქალი დახვედრიათ. სანკოვსკის ამ უკანასკნელის გაუპატიურება მოუსურვებია, მაგრამ ერთ მის ამხანაგს, უფრო ნაკლებ მთვრალს, გადურჩენია საწყალი ქალი. ამის შემდეგ სხვა სახლების ჩხრეკა განუგრძვიათ. ჩხრეკის დროს თითოს ხუთ-ხუთ მანეთს ართმევდნენ თურმე.

ამის შემდეგ ბაკაი მოგვითხრობს აზეფის გაცემის ისტორიას. პირველ შეხვედრის დროსაო, სწერს ბაკაი, ბურცევი დაინტერესდა პოლიციურ პროვოკაციის ორგანიზაციით პოლიტიკურ პარტიებში. ბურცევს თავდაპირველად ჰგონებია, რომ პოლიციური პროვოკაცია შემთხვევითი მოვლენაა და რომ დამცველ პოლიციის მთავარ წყაროს გარეგან პოლიციის ცნობები შეადგენენო,—იგი გაკვირვებულა, როდესაც ბაკაის უთქვამს, რომ დამცველ პოლიციის სიძლიერე მარტო-პროვოკატორებზეა დამყარებულიო. ამის შემდეგ შეჰხებიან სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიას. ბაკაის უთქვამს, ტერორისტებში პროვოკაცია გავრცელებული და ბურცევისთვის ვიღაც რასკინზე მიუთითებია, რომელიც დიდ როლს თამაშობდა თურმე. ბურცევს არა სცოდნია, ვინ იყო ეს რასკინი. დარწმუნებულან, რომ ფსევდონიმი იყო და პარტიაში ალბად სხვა სახელით მუშაობდა. ბაკაის გადაუცია ბურცევისთვის, რომ 1904 წლის დასაწყისში ვარშავაში ჩამოვიდა რასკინი, რომელსაც პეტერბურგიდან თან ჩამოჰყოლია ერთი დიდი მოხელე. ამ დიდ მოხელეს ვარშავის აგენტებისთვის გადაუცია, რომ ეს ერთი დიდი აგენტთაგანიაო. ბაკაის თავის წინანდელ ამხანაგებისაგანაც გაუგია, რომ რასკინი ერთ შესანიშნავ აგენტად ითვლებოდა და რომ მისი შემწეობით აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა ტომსკში, ეგრედ წოდებული აგრარული ორგანიზაცია, ტრეპოვის მოკვლის განზრახვა და სხვა. ბაკაის ბურცევისთვის გადაუცია ვარშავის დამცველ პოლიციის უფროსის სიტყვები, რასკინის ჩამო-

# ფელეტონი

## დიდი მუზარადი

(ანდრეევისა).

ისინი ვინტს კვირაში სამჯერ თამაშობდნენ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. კვირა დღე ამისთვის ძალიან მოსახერხებელი იყო, მაგრამ იგი ყოველ სხვა შემთხვევისთვის ჰქონდათ გადადებული. მაგალითად: სტუმრების მისაღებად, თეატრისათვის, და ამიტომ ეს დღე კვირაში ყველაზე მოსაწყენ დღედ ითვლებოდა. თუმცა კი ზაფხულობით, აგარაკზე, კვირა დღეობითაც თამაშობდნენ ხოლმე.

სათამაშოდ ასე სხდებოდნენ: სქელი და ფიცხი მასლენიკოვი იაკობ ივანიჩთან ერთად საამხანაგოდ თამაშობდა, ევპრაქსია ვასილევნა კი თავის მოქუშულს ძმასთან, პროკოფე ვასილევიჩთან ერთად. ესეთი წესი დიდი ხანია დამყარდა, ექვსი წლის წინად, და ამას დაჟინებით ევპრაქსია ვასილევნა თხოულობდა. საქმე იმაში იყო, რომ მისთვის და მისი ძმისთვის ცალკ-ცალკე, ერთი მეორის საწინაალმდეგო თამაშობას არაფერი ინტერესი არა ჰქონდა, რადგან ერთის მოგება მეორის წაგება იყო და ბოლოს, ანგარიშის დროს, არც იგებდნენ, არც აგებდნენ. თუმცა ფულის მხრივ თამაშობა უმნიშვნელო იყო და არც ევპრაქსია ვასილევნას, არც იმის ძმას ფული არ აკლდათ, და მაინც ვერ გაეგო ის სიამოვნება, რომელიც უფულო თამაშობაში უნდა ყოფილიყო. ამიტომ მუდამ, როცა კი მოიგებდა, ძალიან უხაროდა, მოგებულს ფულს იგი ყულაბში ინახავ-და და ეს ფული უფრო ძვირფასად მიაჩნდა, ვიდრე ის, რომელსაც ძვირფას სადგომში აძლევდა და სახლში ხარჯავდა. სათამაშოდ პროკოფე ვასილევიჩთან იკრიბებოდნენ, რადგან იმის უზარმაზარ სადგომში მხოლოდ და-ძმა სცხოვრობდა. იქ ერთი დიდი თეთრი კატაც იყო, მაგრამ მას მუდამ სავარძელზე ეძინა და სახლში ისეთი სიწყნარე იყო, როგორც აუცილებელია მუშაობისთვის. ევპრაქსია ვასილევნას ძმა ქვრივი იყო. ცოლი მეორე წელსავე დაჰკარგა და ამის შემდეგ მთელი ორი თვე სულით ავადმყოფთა სახლში გაატარა. ევპრაქსია ვასილევნა გაუთხოვარი იყო, თუმცა ოდესღაც ერთ სტუდენტთან რომანიც კი ჰქონდა. არავინ არ იცოდა და მგონი თვითონაც დაავიწყდა, რატომ არ მისთხოვდა თავის სტუდენტს. მაგრამ ყოველ წლივ, როდესაც გაჩნდებოდა ჩვეულებრივი მოწოდება გაჭირვებულ სტუდენტების დასახმარებლად, იგი კომიტეტს მუდამ კოხტად დაკეცილს ათ-თუმნიანს უგზავნიდა ხოლმე უცნობის სახელით. ხნით მოთამაშეებში იგი ყველაზე ახალ-გაზრდა იყო.

დასაწყისში, როდესაც მათი წყვილად განაწილება დაწესდა, მასლენიკოვი ძალიან უკმაყოფილო იყო ამისი. ჯავრობდა, რომ საქმე მუდამ იაკობ ივანოვიჩთან ჰქონდა, ე. ი. სხვანაირის სიტყვებით რომ ვსთქვათ, მას დიდსა და უკონზირო მუხარადზე ოცნებისათვის თავი უნდა დაენებებინა. საზოგადოდ, ის და იაკობ ივანიჩი ერთმანეთს სრულებით არ ჰგვანდნენ. იაკობ ივანიჩი პატარა, გამხდარი და ჩუმი მოხუცი იყო. იგი ზამთარ-ზაფხულ დაბამბულ სერთუკით და შარვლით დადიოდა და სწორედ რვა საათზე გამოცხადდებოდა ხოლმე. ერთს წუთსაც არ მოუმატებდა და არც დაუკლებდა. მოვიდოდა თუ არა, მაშინვე ხმელის თითებით ცარცს იღებდა ხოლმე. ერთ თითზე დიდი ბრილიანტის ბეჭედი თავისუფლად დასცურავდა. მაგრამ მასლენიკოვისთვის მასში ყველაზე საშინელი ის იყო, რომ იაკობ ივანიჩი თავის დღეში არ თამაშობდა, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ხელთ დიდი და უეჭველად მომგებიანი თამაშობა ჰქონდა. ერთხელ ისე მოხდა, რომ იაკობ ივანიჩმა როგორც დაიწყო ორიანით ჩამოსვლა, ისე მივიდა ტუზამდის და ყველა ცამეტი აიყვანა, აკრიფა. გაბრაზებულმა მასლენიკოვმა თავისი ბანქო გადაჰყარა, მშვიდობიანმა მოხუცმა კი აკრიფა და დანიშნა რამდენიც ოთხზე ეკუთვნოდა.

—რატომ დიდ მუზარადს არა თამაშობთ?—შეჰყვირა ნიკოლოი დმიტრიევიჩმა, ასე ეძახდნენ მასლენიკოვს.

—მე ოთხზე მეტს არას დროს არა ვთამაშობ.—მკვახედ უპასუხა მოხუცმა და თან დარიგებით შენიშნა:—არას დროს არ შეგვიძლიან ვიცოდეთ, თუ რა მოხდება.

ამ რიგად ნიკოლოი დიმიტრიევიჩმა იგი ვერ დაარწმუნა. თითონ თავის დღეში არა ფრთხილობდა და რადგან ქაღალდი არ მოსდიოდა, მუდამ აგებდა, მაგრამ არა ნაღვლობდა და ფიქრობდა, მოგებას შემდეგ ხელზე მოვახერხებო. ყველა ნელ-ნელა შეეჩვია თავის მდგომარეობას და ერთმანეთს აღარ უშლიდნენ. ნიკოლაი დიმიტრიევიჩი არას დროს არა ფრთხილობდა, მოხუცი კი წაგებს ღონჯად სთვლიდა და ოთხიან თამაშობას ჰნიშნავდა.

ასე თამაშობდნენ ზამთარსა და ზაფხულში, შემოდგომასა და გაზაფხულზე. დაჩანაკებული ქვეყანას მშვიდად მიჰქონდა თავის დაუსრულებელ არსებობის მძიმე უღელი, ხან სისხლისაგან წითლდებოდა, ხან ცრემლებს აფრქვევდა და სივრცეში გაყვანილს გზას ათასობით ავსებდა მშივრებით, ავადმყოფებით და დაჩაგრულებით. ნიკოლაი დმიტრიევიჩს ამ შესაძრწუნებელ და უცხო ცხოვრების მკრთალი გამოძახილი თან მოჰქონდა. იგი ხანდის-ხან იგვიანებდა ხოლმე, როდესაც მაგიდა უკვე მზად იყო და ლურჯ სუფრაზე ბანქო პირის-ფერ მარაოსავით გაშლილი იყო.

ნიკოლაი დმიტრიევიჩი, გაწითლებული, რომელსაც სუფთა ჰაერის სუნი შემოჰყვებოდა ხოლმე, სწრაფად ჯდებოდა თავის ადგილას, იაკობ ივანიჩის პირდა-პირ, ბოდიშს იხდიდა და ამბობდა:

— რამდენი ხალხია ბულვარზე!.. სულ დადიან!..

ევპრაქსია ვასილევნა, როგორც დიასახლისი, თავის თავს მოვალედ ჰრაცხდა, სტუმრის საკვირველი ქცევა არ შეემჩნია. ამიტომ პასუხს აძლევდა მაშინ, როდესაც მოხუცი ცარცს იღებდა და ძმა კი ჩაის თადარიგს ეწეოდა.

— უეჭველია კარგი ამინდია... მაგრამ არ დავიწყოთ?

იწყებდნენ. მაღალი ოთახი თავის რბილის ავეჯით ყოველსავე ხმასა ჰნთქავდა და სრულიად ჩუმი ხდებოდა. მოსამსახურე რბილს ხალიჩებზე უხმოდ მოძრაობდა, მუქი ჩაით სავსე ჭიქები დაჰქონდა და მხოლოდ გახამებულს კაბას აშრიალებდა. ცარცი ჭრიჭინებდა. ნიკოლოი დმიტრიევიჩი, რომელსაც დიდი რევმიზი ჰქონდა, ოხრავდა. იმისთვის ბაცი ჩაი კეთდებოდა და ცალკე მაგიდას უდგამდნენ, რადგან ლამბაქით სმა უყვარდა.

ზამთრობით ნიკოლაი დმიტრიევიჩი ამბობდა მხოლოდ, დილით სიცივე ათი გრადუსი იყო, ეხლა კი ოცამდის ავიდაო. ზაფხულობით კი იტყოდა ხოლმე:

— ეს არის ეხლა მთელი კომპანია კალათებით ტყეში წავიდა.

ევპრაქსია ვასილევნა ცას თავაზიანად შეჰხედავდა ხოლმე; ზაფხულობით აივანზე თამაშობდნენ და თუმცა ცა მოწმენდილი იყო და ფიჭვის წვერებიც ყვითლად იცქირებოდნენ, მაინც იტყოდა ხოლმე:

— წვიმა კი არ მოვიდეს და!

მოხუცი იაკობ ივანიჩი კი ქაღალდს შლიდა, ყვავის ორიანს არჩევდა და ფიქრობდა, ნიკოლაი დმიტრიევიჩი ქარაფშუტა და გაუსწორებელი ადამიანია. ერთ ხანად მასლენიკოვმა თავისი პარტნიორები ძალიან შეაწუხა. მუდამ, მოვიდოდა თუ არა, იგი ერთს ან ორს ფრაზას დრეიფუსზე იტყოდა და თან საცოდავ სახეს მიიღებდა ხოლმე:

— ჩვენი დრეიფუსის საქმე ცუდად არის.

ან, პირიქით, სიცილით და სიხარულით იტყოდა ხოლმე, რომ უსამართლო განაჩენი უეჭველია გაუქმდებაო; შემდეგ გაზეთების ტარებაც დაიწყო და თავის ამხანაგებს ისევ იმ დრეიფუსზე უკითხავდა.

წაკითხული გვაქვს,—უკმეხად ეტყოდა ხოლმე იაკობ ივანიჩი, მაგრამ პარტნიორი ყურადღებას არ აქცევდა და წაიკითხავდა ხოლმე იმას, რაც საინტერესოდ ეჩვენებოდა. ამ რიგად ერთხელ დანარჩენები წააკინკლავა, კინაღამ წააჩხუბა კიდეც. რადგან ევპრაქსია ვასილევნას არა სურდა, რომ სასამართლოს კანონიერი მოქმედება მიეღო და ითხოვდა, დრეიფუსი დაუყონებლივ განთავისუფლებინათ. მისი ძმა და იაკობ ივანიჩი კი იმ აზრზე იდგნენ, რომ ჯერ ზოგიერთ ფორმალიზმის ასრულებაა საჭირო და შემდეგ განთავისუფლებაო. პირველი იაკობ ივანიჩი მოვიდა გონს, მაგიდისკენ ხელი გაიშვირა და სთქვა:

— განა დრო არ არის დავიწყოთ?

დასხდნენ და შემდეგ ნიკოლაი დმიტრიევიჩს რამდენიც უნდა ელაპარაკნა დრეიფუსზე, სიჩუმით უპასუხებდნენ ხოლმე.

ასე თამაშობდნენ ზამთარსა და ზაფხულს, გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ხანდისხან რამე მოხდებოდა ხოლმე, მაგრამ ისინი უფრო სასაცილო ხასიათისანი იყვნენ. ევპრაქსია ვასილევნას ძმას ხანდისხან რაღაც დიემართებოდა ხოლმე და არ ესმოდა, რას ამბობდნენ თავისი ქაღალდზე მისი პარტნიორები, ამიტომ თუ ხელთ ხუთი უეჭველი მოგება ჰქონდათ, ერთსაც დაჰკარგავდა ხოლმე. მაშინ ნიკოლაი დმიტრიევიჩი ხმა მაღლა იცინოდა, წაგების მნიშვნელობას აღიდებდა, მოხუცი კი იღიმებოდა და ამბობდა:

— ოთხი რომ გეთამაშნათ თავნზე დარჩებოდით.

ყველას სახეზე დიდი აღელვება გამოიხატებოდა ხოლმე, როდესაც ევპრაქსია ვასილიევნა დიდს თამაშობას ჰნიშნავდა. იგი წითლდებოდა, იფანტებოდა არ იცოდა, რომელ

სვლისას თქმული: „ვერც ერთი ტერორისტული აქტი ვერ მოხდება, რომ ჩვენ არ გავიგოთ, ვერც ერთ ტერორისტულ აქტს ვერ ასრულებენო“, ამის შემდეგ გასულა რამდენიმე ხანი და ბაკაი ციმბირში გადაასახლეს. იგი, როგორც ვიცით, საზღვარ-გარედ გაიქცა. აქ ბურცევს ბაკაისთვის უკითხავს ხომ არ იცნობ აზეფსაო. ბაკაის არ სცოდნია ეს გვარი. იგი გაკვირვებული დარჩენილა, როდესაც ბურცევს უთქვამს, აზეფი პარტიის ერთ წევრთაგანია, რომ აზეფი გერშუნის მოადგილედ ითვლება და ყველა ტერორისტულ აქტში დიდ მონაწილეობას იღებსო. სამხედრო ორგანიზაციის მეთაურის გვარი რომ არ ვიცოდე, უთქვამს ბაკაის, ეს იმას ნიშნავს, რომ დამცველ პოლიციის უფროსის გვარი და ვინაობა არ ვიცოდე, ფსევდონიმები ხომ არ აქვსო? მაგრამ არც აზეფის ფსევდონიმებს გამოურკვევია საქმე. ამის შემდეგ ბურცევს და ბაკაის ეჭვი შეჰპარვიათ აზეფზე და გადუწყვეტიათ გამოაქვეყნონ აზეფის ვინაობა.

**ბაკაი.**

გაზეთ „ნოვაია რეფორმა“-ში, რომელიც კრაკოვში გამოდის, მოთავსებულია სროკოვსკის წერილი, სადაც დახასიათებულია ბაკაი. აი რასა სწერს სროკოვსკი: „ბაკაიში უმწვერვალესობამდეა განვითარებული სისასტიკე. სისასტიკე ზნეობრივ სიმახინჯემდის მიდის. ბაკაი რომ საიდუმლო პოლიციის აგენტი არა ყოფილიყო და ბედს მისთვის ბუნებისმეტყველება ერგუნებინა, თამამად შეგვეძლო გვეთქვა: აი კაცი, რომელმაც თავისი ნერვები უმწვერვალესობამდე გაამაგრა. მას არაფრად მიაჩნია მსხვერპლის წვალება. მაგრამ ბაკაი ვარშავის დამცველ პოლიციაში საგანგებო საქმეთა მოხელე იყო, მისი ჯამაგირი და ჯილდო რუს პროფესორის ჯამაგირს აღემატებოდა. როდესაც ბაკაი ელაპარაკება ვისმეს, მისი თვალები გაუმაძღრად აცქერდებიან მოლაპარაკეს, ანათებენ მოლაპარაკის სულის ყველა კუთხეს. მისი თვალები მარტო ერთ წერტილს აცქერდება, ეძებს—სად არის „კრამოლა“. შეიძლება რომ ბაკაი ზნეობრივად გადაკეთდა, მაგრამ ეს გადაკეთება იმის სულის ძირითად თვისებებს არ შეჰხებია. ბაკაის გასაკვირველი მეხსიერება აქვს, იგი საოცრად იხსომებს გაგონილ ფაქტებს, სიტყვებსაც კი. ბაკაის შეშინება ყოვლად შეუძლებელია“.

# ახალი ამბავი

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

**სროლა.** 16 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზედ, პოლიციის 1 ნაწილის გოროდოვოის თედორე როსჩინს ცნობა მიუღია, რომ ოლგასა და ბელინსკის ქუჩების შესართავთან სარდაფში ვიღაც საეჭვო კაცები ქეიფობენო. როსჩინს წაუყვანია ერთი პოლიციელი და ორი ჯარის კაცი. ეს უკანასკნელნი ჩაუყენებია სარდაფის კიბეზე, ხოლო თითონ ჩასულა და მოქეიფე ყმაწვილებისათვის დაუძახნია—ხელები მაღლა აიშვირეთო. მოქეიფეთ რევოლვერების სროლით გაუციათ პასუხი. ამაზე ჯარის-კაცებს და პოლიციელებსაც აუტეხიათ სროლა. დაიჭრა პოლიციელი როსჩინი და ოთხი კაცი. შეუდგნენ ამათ ვინაობის გამოძიებას. გაჩხრიკეს და დაკეტეს მრავალი სავაჭრო დუქანი.

**სახალხო უნივერსიტეტი.** 16 თებერვალს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ რამდენიმე საქმე განიხილა. ლაპარაკი იყო სისტემატიურ ლექციების მოწყობაზე. როგორც აღვნიშნეთ, ლექციების კითხვა ვერ არის მოწონებული. პუშკინის ბიბლიოთეკის დარბაზში ეხლახან ორი ლექცია იყო წასაკითხავად დანიშნული, მაგრამ არც ერთი არ შესდგა. გამგეობამ დაადგინა, ლექციების შესახებ, გარდა აფიშებისა, გაზეთებს განცხადებებიც გაუგზავნოს ხოლმე.

**იასონ ბახტაძე.** შვეიცარიიდან გუშინ დეპეშა მოვიდა, რომ იქ გადაცვლილა იასონ ბახტაძე, რომელიც ყვირილის ხაზინის გაცარცვისა გამო სამართალში იყო მიცემული.

**დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ. ოთარ ზანდუკელი და გიორგი აბზიანიძე-თითო თუმნით, ელისაბედ ბუჭკურიძე-3 მან. მარიამ ტერ-გრიქოროვისა და ნინო ბულინოვისა თითო-5 მან; სუმბათ ბაბოიანცი—20 მან. და გიორგი გაბაშვილი-სამი მანეთით.

**ი. ნაკაშიძის ლექცია.** კვირას 22 თებერვალს, დილის 10 ნახევარ საათზე, ძმათა ზუბალაშვილების სახლ. სახალხო სახლში (ველიკოკნიაჟესკ. ქუჩა) ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულად ლექციას შემდეგ საგანზე: „**ქალთა საკითხი**“. პროგრამა ლექციისა: „ქალთა საკითხის ყალბი საფუძველი. მამაკაცი და დედაკაცი, მათი მზგავსება და განსხვავება. ქალი ოჯახში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში. ქალი როგორც საზოგადოებრივ აზრის შემქნელი. ქალი უდიდეს თანამედროვე საკითხების წინაშე. პირადი თაოსნობა ქალის ცხოვრებაში. ქალის მოღვაწეობა ხელოვნების, მეცნიერების და აღზრდა-განათლების სარბიელზე. მომავალი ქალი“. შესვლის ფასი 5 კ-დან 40 კ-მდის.

**რამიშვილი.** ისიდორე რამიშვილი უკვე ჩამოიყვანეს ბაქოდან და 16 თებერვალს მეტეხის ციხეში მოათავსეს.

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** წელს 25 წელიწადი სრულდება, რაც ნიჭიერი მსახიობი ქალი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა ქართულ სცენაზე მოღვაწეობს. დრამატიული საზოგადოება 18 მარტს მართავს საიუბილეო წარმოდგენას.

**წიგნაკი.** ამას წინად ლ. დ. სარჯიანმა ფული შესწირა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ იმ ფულით საბჭოს სამეურნეო შინაარსის წიგნაკები გამოეცა სომხურად. საბჭომ დაადგინა, ეს ფული გადასცეს სომეხთა იმ ჯგუფს, რომელიც შეუდგა ყოველკვირეულ სომხური სამეურნეო გაზეთის გამოცემას.

**ბიურო თელავში.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო შეეკრა პირობით ი. ა. სალათელიანს, რომელმაც იკისრა წარმომადგენლობა საზოგადოების ბიუროსი თელავში. სალათელიანს მიეცემა 2,000 ფუთი შაბიამანი და 4,000 ფუთი გოგირდი.

**დიდი მამულის დამუშავება.** ამას წინად ცნობილმა კაპიტალისტმა გ. ზ. ა. ტაგიევმა სთხოვა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, დაესახელებინა მეურნეობაში დახელოვნებული კაცი, რომელიც ახალის სისტემით დაიმუშავებს იმის დიდ მამულს ევლახში, ზომით 24,000 დესეტინას. საბჭომ სახეში მიიღო ის გარემოება, რომ ასეთ დიდ მამულის რიგიანად დამუშავებას, დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთათვის და დაადგინა, წინადადება მისცეს ტაგიევს შეადგინოს სამეურნეო გეგმა ამ ადგილის დამუშავებისა. ამის შემდეგ საზოგადოება დაუსახელებს აგრონომს მამულის გამგედ.

**გაჩხრეკა და დაპატიმრება.** 16 თებერვალს ღამე პოლიციამ გაჩხრიკა მე-6 ნაწილში დუქნები, ტრაქტირები და რესტორანები, დააპატიმრა 33 კაცი, რომელთაც პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

**ს.-სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება დაინიშნა მომავალ 13 მარტისთვის. საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა თავის მოქმედების ანგარიშების დამზადებას აღნიშნულ კრებისათვის.

**ტფილისის ქალაქის საბჭო.** 16 თებერვალს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. ამ დღეს საბჭომ 13-მდე წვრილმანი საქმე განიხილა. ამ რამდენიმე წლის წინად, ავლაბრის ხიდის შეკეთების დროს, ქალაქის ტეხნიკოსის გაუფრთხილებლობის გამო ალი-ოღლი ჩავარდნილა და ისე დაშავებულა, რომ თავის შრომით ცხოვრება გასჭირებია. ხოლო ივანოვის მეუღლეს, რომელსაც 40 მან. თვეში ჯამაგირი ჰქონია, ფიცარი ჩასტეხია, ჩავარდნილა მტკვარში და დამრჩვალა. ელენე ივანოვისას ოჯახობას და ალი-ოღლის საჩივარი აღუძრავთ. გამგეობა მოლაპარაკებია დაინტერესებულ პირთ და გადაუწყვეტია მორიგებით გაათაოს საქმე. გამგეობას გადაუწყვეტია 1,000 მან. მისცეს ალი-ოღლის, ხოლო ივანოვის ოჯახობას 1,400 მან. საბჭო დასთანხმდა გამგეობის დადგენილებას. ხმოსნებმა ნ. ელიავამ და ბაღდასაროვ-ბუდაღოვმა გამგეობას უსაყვედურეს, ქალაქის ტეხნიკოსების წყალობით უნდა ჩვენმა კასსამ იზარალოსო. ხმოსან ექიმებმა ს. ი. ვაწაძემ და ა. ფიშერმა ამას წინად აღძრეს საკითხი მოეწყოს ქალაქში ისეთი სამკურნალო ორგანიზაცია, რომელიც უბედურ შემთხვევებში სწრაფ დახმარებას აღმოუჩენს მცხოვრებთ. გამგეობამ აცნობა საბჭოს, რომ გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით დაარსდა დროებითი კომიტეტი სწრაფ საექიმო დახმარების საქმის მოსაწყობად. ამ კომიტეტში საბჭოსაც ერთი ექიმი ხმოსანი უნდა აირჩიოსო. საბჭომ აღნიშნულ კომიტეტის წევრად ერთხმად ამოირჩია სპ. ვაწაძე. როდესაც შეუდგნენ ამ საქმის შესახებ მოხსენების განხილვას, საბჭოში 40 ხმოსანი აღარ აღმოჩნდა და ამიტომ ამ საქმის განხილვა გადასდეს. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება, რომლის ძალითაც ნავთლუღში, რეიტერის ქუჩის გვერდზე მდებარე ადგილი, ზომით 16,000 ოთხ. საჟენი, უნდა დაიყოს 145 ნაწილად და საზოგადო ვაჭრობით გაიცეს იჯარით დასასახლებლად. ხმ. ეირანოვის წინადადებით, უნდა დასტოვონ მოზრდილი ნაჭერი სკოლისა ან სხვა რაიმე საზოგადო დაწესებულების შენობებისათვის. ქალაქის თვითმმართველობაში მოხელედ ნამყოფს ახნაზაროვს საბჭომ პენსია დაუნიშნა, თვეში 35 მან., ხოლო ტირანოვისას—10 წლის სამსახურისათვის მისცა ერთ-დროულად 750 მან.

პოლიციამ ნაძალადევში შეიპყრო ს. კარბლის მცხოვრები კოდა ბაიდაროვი და ბერშუეთის მცხოვრები ვანო ქრისტესიაშვილი. ორივე, როგორც წითელ რაზმელები, გენერალ გუბერნატორის მიერ რუსეთში იყვნენ გადასახლებულნი.

ამ დღეებში 54 წლის მოხუცი სამუელ ნაკაიძე სადღაც დაიმალა. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციას მისი მოძებნა.

16 თებერვალს პოლიციამ დააპატიმრა არჩილ ავალიანი, რომელსაც ბრალდება შარშან, 31 დეკემბერს, მეურნე მელიტონ ნიკოლაიშვილის გაცარცვაში მონაწილეობის მიღება.

# აკაკის ფონდი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქონლის მთავარ საწყობის (ტფილისში) მოსამსახურეთა შორის შეიკრიბა 6 მ. 5 კ. გიგზავნით ამ ფულს და გთხოვთ გადასცეთ აკაკის ფონდს. შემომწირველთა სია:

ია ფა—ლი 1 მ., ე. კველიშვილი 1 მ., ილიკო ელბაქიძე 50 კ., ვლ. ჯამასპოვი 50 კ., სოლომონ თუხარელი 50 კ., ალექსანდრე ჯობაძე 50 კ., გოკიელოვი 50 კ., მ. გიორგობიანი 1 მ., არჩილ დევაძე 1 მ. სულ 6 მ. 50 კ.

# სპარსეთის ამბები

**საზოგადო მდგომარეობა.**

რევოლიუცია თან და თან ძლიერდება და მთელს სპარსეთს ედება. თითონ თეირანშიაც ყოველ წამს მოელიან ხალხის აჯანყებას. ვაჭრობა გამქრალია. ბაზრები დაკეტილია. უცხოეთის საელჩოები უმატებენ თავიანთ დამცველ რაზმებს და ამკრებენ თავიანთ ბინებს. შაჰის საყოფელოში—ბაღეშაჰში, ფეხზე და ყენეს ყველა, ვისაც-კი იარაღის მოპყრობის თავი აქვს, მაგრამ თითონ შაჰსაც არა აქვს მაინც და მაინც დიდი იმედი თავის დამშეულ შიშველა ჯარისა, რომელსაც არც ჯამაგირს აძლევენ რიგზე, ხოლო ლიახოვის ყაზახთა ბრიგადაში ეხლა სულ 500 ყაზახი-ღა დარჩა, დანარჩენი სულ აქეთ-იქით რევოლიუციონერების დასამშვიდებლად არიან გაგზავნილნი.

სახელმწიფო ხაზინა ცარიელია, ჯარს ჯამაგირს ვერ აძლევენ. დიდმა ვეზირმა მუშირ-ეს-სალტანემ ვეღარა გააწყო-რა, ვერაფერი ღონისძიება ვერ აღმოაჩინა ასეთის გაჭირვებიდან გამოსასვლელად და თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ შაჰმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. როგორც ეტყობა, თითონ მამედ-ალი-შაჰსაც-კი დაებნა დავთრები და აღარ იცის, რა ღონე იღონოს გაძლიერებულ რევოლიუციის ჩასაქრობად.

ხალხის აზრით, ერთადერთი ხსნა [illegible]არის—მოწვევა მეჯლისისა, რომლის წინაშე ქედს მოიხრიან და იარაღს დაჰყრიან თავრიზელი და რეშტელი რევოლიუციონერები, მაგრამ შაჰი და მისი ერთგული მრჩეველი, სამხედრო მინისტრი ბაგადურ-ჯენგი, რომელმაც რაღაცა საბედისწერო გავლენა მოიპოვა შაჰზე, დარწმუნებულნი არიან, რომ მეჯლისი არ აპატიებს მამედ-ალი-შაჰს ყველა მის ბოროტ-მოქმედებას, ჩამოაგდებს ტახტიდან შაჰს და დაჰღუპავს მთელს მის გვარეულობას.

როგორც სჩანს, მამედ-ალი შაჰს ძლიერ ეშინიან ტახტიდან ჩამოგდებისა. მინისტრების უკანასკნელ თათბირის დროს შაჰმა განაცხადა: მეტადა ვნანობ, რომ კონსტიტუცია ადრევე არ აღვადგინე, მეჯლისს განადგურების უმალვეო, მაგრამ ეხლა, როდესაც ხალხი ასე აჯანყებულია, კონსტიტუციის აღდგენა შეუძლებელია: ჯერ თავრიზი უნდა დავიპყროთო.

რაღა თქმა უნდა, შაჰის ასეთმა განაჩენმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თეირანზე. ეს არის სრული განხეთქილება შაჰსა და ხალხს შორის.

**საუბარი შაჰთან.**

11 თებერვალს შაჰს მიუღია აუდიენციით „რუსკ. სლოვო“-ს კორესპონდენტი და უთქვამს მისთვის, რომ ეხლანდელი წამი შესაფერისად არ მიმაჩნია დაპირებულ რეფორმების განსახორციელებლადო.

— შეუძლებელია,—უთქვამს შაჰს,—რეფორმების განხორციელება და ახალ წესების დაწესება, როდესაც რევოლიუცია ასე ფართოდ გავრცელდა და ხალხს სწადიან, უთუოდ ძალით წამართოს ის, რასაც მე ნებაყოფლობით მივცემ იმ პირობით, თუ ქვეყანა დამშვიდდება. სპარსეთის ეხლანდელი მმართველობის წესები მეტად [illegible] მშვენიერად [illegible] საჭიროა, [illegible] არა, რომლებსაც თხოულობენ სოციალისტები (?), საჭიროა ნამდვილი კონსტიტუციონური რეფორმები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ქვეყნის მშვიდობიანობას და ჩემის ქვეშევრდომების კეთილდღეობას. ისეთი მეჯლისი, როგორიც იყო, აღარ იქნება. ეხლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მალე დავიმორჩილებთ თავრიზს. რაც უფრო მალე ავიღებთ, თავრიზს, მით ჩქარა გამოვცემთ მანიფესტს რეფორმების შესახებ. სხვა პროვინციების აჯანყება მე მაგდენად არ მაწუხებს“.

**რეშტის გენერალ-გუბერნატორის აზრი.**

რეშტში რომ რევოლიუცია მოხდა, შაჰმა იქ იმწამსვე გაგზავნა ახალი გენერალ-გუბერნატორი საპეხდარ-აზამი, რომელმაც შემდეგი შეატყობინა ტელეფონით დიდ ვეზირს:

„მის ბრწყინვალებას დიდ ვეზირს. უკვე გაცნობეთ დეპეშით, რომ რეშტისკენ გავემართე. შაბათს დილით მიველი ენზელიში. საღამოს შემატყობინეს, რომ რევოლიუციონერებმა მოჰკლეს რეშტის გენერალ-გუბერნატორი სარდარ-აფხამი. ბრძოლამ თურმე ოთხ საათამდე გასტანა. რევოლიუციონერები ბრძოლის დროს ისროდენ ყუმბარებს. მთავრობის სასახლეში ჩასაფრებულიყვნენ. რევოლიუციონერებს მოუკლეს ორი კაცი, ხოლო ჯარის-კაცებსა და ყაზახებს მოუკლეს 30-მდე კაცი; დანარჩენნი დამორჩილდნენ რევოლიუციონერებს, მხოლოდ რამდენიმე კაცი შეეხიზნა რუსეთის საკონსულოს. მთავრობის თოფხანა (არსენალი) რევოლიუციონერების ხელშია, სასახლე დანგრეულია. თქვენა მკითხეთ ტელეფონით რა მიზეზით მოხდა რეშტში ასეთი ამბავი. უმთავრესი მიზეზი და მიზანი რეშტში მომხდარ ამბებისა არის—კანონიერი მოთხოვნა კონსტიტუციისა, რეფორმების განხორციელება, აღდგენა წმიდა მეჯლისისა და სახალხო წარმომადგენლებისა ასეთს გაჭირვების წამს, როდესაც ყველა ჩვენი თანამემამულე, ნამდვილნი შვილნი ხელმწიფისანი, მოგმართავენ თხოვნითა და საჩივრითა, როდესაც ყველა ქალაქისა თუ სოფლის თავზარდაცემულ მცხოვრებთა კვნესა ცამდე ადის, მე შეუძლებლად ჩავთვალე განზე დადგომა, დღეს რეშტი მიველ და ჩამოვხტი მის აღმატებულების სარდარ-მანსურის სახლში რეშტში სრული წესიერება და სამაგალითო სიწყნარეა. ყველაფერი სრულ წესა და რიგზე სწარმოებს. ტელეგრაფიც მალე დაიწყებს მოქმედებას. მე თქვენი მორჩილი მონა მოვალე ვარ გამოგიცხადოთ. რომ ვერა დროს ვერ ჩავთვლი ღირსეულ საქმედ რეშტის წინააღმდეგ სარდარ-მუზაფერის გამოგზავნას ზარბაზნებით. გირჩევთ, სანამ კიდევ დროა, დაუთმოთ ხალხს, შეასრულოთ მისი თხოვნა და ტელეგრაფით მოგვიწეროთ ავეთი სასიამოვნო ცნობა რათა საიმედო წესიერება დამყარდეს და ხალხი დინჯად შეუდგეს თავის საქმეს და მინდორში მუშაობას, თორემ მდგომარეობა მეტად სერიოზულია, ტელეფონით ამაზე მეტის თქმა აღარ შეიძლება.

სიპეხდარ-აზამი“.

**რევოლიუციის გაძლიერება.**

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ ჯულფიდან: შირაზში აჯანყება გაჩაღდა. რეშტში გაგზავნილი რაზმი გზაში გაჩერდა და მშვიდობიან ხალხის ცარცვას შეუდგა. რაჰიმ-ხანის რაზმი, რომელიც ცდილობდა თავრიზ-ჯულფის გზის შეკვრას, დაამარცხეს რევოლიუციონერებმა, რომლებმაც აიღეს მნიშვნელოვანი ადგილი—ალვარი.

**რუს მოღვაწის აზრი სპარსეთის საქმეზე.**

ერთ გამოჩენილ რუს მოღვაწეს თეირანში უთქვამს „გოლ. მოსკვი“-ს კორესპონდენტისათვის, რომ სპარ-

---

ქაღალდს ჩამოსულიყო და თავის გაჩუმებულს ძმას მუდარებით შესცქეროდა. დანარჩენნი-კი მისი ქალობის უმწეობას რაინდულ თანაგრძნობით შესცქეროდნენ, გულშემატკივარ ღიმილით ამხნევებდნენ და მოთმინებით უცდიდნენ. საზოგადოდ თამაშობას სერიოზულად და დაფიქრებით ეკიდებოდნენ. სათამაშო ქაღალდმა მათ თვალში დიდი ხანია უსულო საგნის მნიშვნელობა დაჰკარგა. თვითეული ქაღალდი ინდივიდუალური იყო და თავისი საკუთარი ცხოვრება ჰქონდა. ზოგი ქაღალდი საყვარელი იყო, ზოგი—არა-საყვარელი, ბედნიერი და არა-ბედნიერი. ბანქოს თავისი, დაუსრულებლად სხვა-და-სხვანაირი კომბინაცია ჰქონდა და ეს სხვა-და-სხვანაირობა არც ანალიზს, არც რამე წესებს არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ამავე დროს იგი კანონიერი იყო. ამ კანონიერებაში იყო ბანქოს ცხოვრება, ადამიანების ცხოვრებისაგან განსხვავებული. ადამიანები ამ ბანქოთი თავიანთ მიზანს ახწევდნენ, ბანქო კი თავისას აკეთებდა—თითქოს მას თავისი სურვილი, გემოვნება, სიმპატია და სიჯიუტე ჰქონდაო. იაკობ ივანიჩს ხშირად ნაზუქი მოსდიოდა ხოლმე, ევპრაკსია ვასილევნას კი ხელები მუდამ ყვავებით ჰქონდა სავსე, თუმცა არც ეგრე რიგად უყვარდა. ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ბანქო თავნებობდა და იაკობ ივანიჩმა არ იცოდა, სად გაჰქცეოდა ყვავებს. ევპრაკსია ვასილევნას კი ნაზუქი ძალიან უხაროდა და დიდს თამაშობას ნიშნავდა. ნიკოლაი დმიტრიევიჩს ყველა ქაღალდი ერთნაირად მოსდიოდა და არც ერთი ხელში დიდხანს არა რჩებოდა, ყოველ ქაღალდს ისეთი შეხედულება ჰქონდა, როგორიც სასტუმროს მდგმურებს, რომელნიც გულგრილად მოდიან და მიდიან ხოლმე. ხანდისხან რამდენსამე საღამოს ზედი-ზედ მხოლოდ ორიანები მოსდიოდა და ამასთან უნამუსო და დამცინავი შეხედულება ჰქონდათ. ნიკოლაი დმიტრიევიჩს ეგონა, რომ ქაღალდებმა იციან მისი სურვილი—დიდი მუზარადის თამაშობისა და ამიტომ განგებ არ მოსდიან, რომ გააბრაზონ. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, იგი თავს ისე იჭერდა, ვითომ იმისთვის სულ ერთი იყო, რანაირი თამაშობაც ექნებოდა, ამიტომ სცდილობდა ქაღალდი დიდხანს ასე ეყიდნა. ქაღალდების ამრიგად მოტყუება ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, საერთოდ ბანქო მიუხვდებოდა ხოლმე და როცა იგი ქაღალდს გაშლიდა სამი ექვსიანი პირში შესციცინებდა. მოღუშულად იღიმებოდა ყვავის ხელმწიფეც, რომელსაც ექვსიანები საამხანაგოდ წამოათრევდნენ ხოლმე. ქაღალდის საიდუმლო შინაარსი ყველაზე ნაკლებ ევპრაკსია ვასილევნას ესმოდა. მოხუცმა იაკობ ივანიჩმა დიდი ხანია ფილოსოფიური შეხედულება შეიმუშავა და არა ღონდებოდა, რადგან ხელში სარწმუნო იარაღი, ოთხიანი მოგება ეჭირა, მხოლოდ ნიკოლაი დმიტრიევიჩი ვერას გზით ვერ შეურიგდა ქაღალდის თვით ნება ხასიათს, დამცინაობას, დაუნდობლობას. როცა დასაძინებლად წვებოდა, იგი ფიქრობდა, როგორ ითამაშებდა დიდს უკოზიროთ მუზარადს და ეს სულ უბრალოდა შესაძლებელ რამედ მიაჩნდა. აი მოუვიდა ერთი ტუზი, მას ხელმწიფე მოჰყვა, მერე კიდევ ტუზი. მაგრამ როდესაც იმედით სავსე, იგი სათამაშოდ მოემზადებოდა წყეული ექვსიანები კბილებს ისევ უკრეჭავდნენ. ამაში იყო რაღაც ბედ-გადამწყვეტი და ბრაზიანი. ამ რიგად, ნელ-ნელა, დიდი უკოზირო მუზარადი ნიკოლაი დმიტრიევიჩს უდიდესს სურვილად გადაექცა.

ქაღალდის თამაშობის გარეშე, სხვა ამბებიც მოხდა. ევპრაკსია ვასილევნას დიდი კატა მოუკვდა. სახლის პატრონის ნება-რთვით, იგი მაღალ ცაცხვის ძირში დაჰფლეს. შემდეგ ნიკოლაი დმიტრიევიჩი მთელი ორი კვირით დაიკარგა და დანარჩენებმა არ იცოდნენ, რა ეფიქრათ, რადგან ერთხელვე დამყარებული ჩვეულება სამთა თამაშით ინგრეოდა და თამაშობა მოსაწყენად ეჩვენებოდათ. თითქოს თვით ქაღალდიც ჰგრძნობდა ამას და შეუჩვეველ ფორმებით ერთდებოდა. როდესაც ნიკოლაი დმიტრიევიჩი კვლავ გაჩნდა, მის წითურ ლოყებს, რომლებიც ისე ძალიან გამოირჩეოდნენ ჭაღარა თმებისაგან, ნაცრის ფერი დასდებოდა. მან განაცხადა, რომ მისი უფროსი ვაჟი რაღაცაზე დაიჭირეს და პეტერბურგს გაჰგზავნეს. ყველა გაჰკვირდა, რადგან არ იცოდა, თუ დმიტრი ნიკოლაევიჩს შვილი ჰყავდა. იქნება როდისმე უთქვამს, მაგრამ არავის არ დახსომებია. მალე ამის შემდეგ მასლენნიკოვი კიდევ ერთხელ არ მოვიდა, სწორედ შაბათ დღეს, როდესაც თამაშობა უფრო დიდხანს გრძელდებოდა. და კვლავ გაკვირდნენ როცა გაიგეს, რომ ნიკოლაი დმიტრევიჩს გულის ქიდილი ჰქონდა და რომ შაბათ. დღეს ავადმყოფობა ძალიან აეშალა. შემდეგ ყველაფერი ისევ ძველებურად დალაგდა და თამაშობაც უფრო საინტერესო და სერიოზული გახდა, რადგან ნიკოლაი დმიტრიევიჩი კერძო ლაპარაკით ნაკლებ ერთდებოდა. მხოლოდ მოსამსახურის გახამებული კაბა შრიალებდა და მოთამაშეთა ხელებიდან ატლასისებური ქაღალდი უხმოდ სცურავდა და სცხოვრობდა თავის საიდუმლო, უხმო ცხოვრებით, რომელიც განსხვავებული იყო მოთამაშეთა ცხოვრებისაგან. **ი. ტ.**

(დასასრული იქნება)

სეთის ანარქიის მოსასპობად აუცილებლად საჭიროა: „თავდაპირველად შაჰს მოაშორონ მისი „ბოროტი სულები“: სამხედრო მინისტრი ემირჯენგი და დიდი ვეზირი მუშირეს სალტანე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რეფორმებს; მერე, საჭიროა ფართე ადმინისტრატიული რეფორმები და უცხო სახელმწიფოთა კანტროლი, ინგლის-რუსეთის ჯარის ჩაყენება სპარსეთის უმთავრეს ქალაქებში და ბეჯითი ჩარევა სპარსეთის შინაგან საქმეებში; „მეგობრული რჩევა“ და „საერთო წარდგენილობანი“ არავითარ სარგებლობას არ მოიტანენ, პირიქით მხოლოდ გააძლიერებენ ანარქიას და დააჩქარებენ სპარსეთის განაწილებას“.

# ბალკანეთი

**ომის ლანდი.**

ამ ჟამად ბევრს დინჯს პოლიტიკოსსაც კი აუცილებლად მიაჩნია ომი ავსტრიასა და სერბიას შორის. სატახტო ქალაქის გაზეთების საკუთარი კორესპონდენტები ირწმუნებიან, რომ ავსტრიაც და სერბიაც სრულიად მზად არიან საომრად და იქნება ამ ორიოდე დღეში დაიწყონ კიდეც ომიო. „რუსკ. სლოვო“-ს ვენელი კორესპონდენტი იუწყება: სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ ეს საქმე გადასწყდება ახალი სტილის 1 და 7 მარტს შუაო. მით უმეტეს სარწმუნოდ მიაჩნიათ ეს ხმები, რომ ავსტრიამ თავისი ელჩი ფორგაჩი უკვე გაიწვია ბელგრადიდან. მაგრამ უფრო ბევრს შეუძლებლად მიაჩნია ეს ომი; დიდი სახელმწიფოები ყოველ ღონეს იღონებენ, რომ ავსტრიასა და სერბიას შორის დავა როგორმე მშვიდობიანად გადასწყდესო, თორემ თუ ომი დაიწყო, იგი უთუოდ გადიქცევა საერთო ომად. სერბია არ დაიწყებს ომს, თუ რუსეთის დახმარების იმედი არ ექნება, ხოლო რუსეთი თუ საქმეში გაერევა, მაშინ გერმანიაც უთუოდ დახმარებას გაუწევს ავსტრიას, რადგან საკავშირო ხელშეკრულობის პირველ მუხლის ძალით გერმანია მოვალეა უშველოს ავსტრიას, თუ მას რუსეთთან ომი მოუვიდა. ამ შემთხვევაში საფრანგეთიც გაერევა საქმეში და ომი სიზოგადო ევროპის ომად გადიქცევა. ბევრნი ირწმუნებიან, რომ თითონ ავსტრიასაც არა სწადიან ომი; იგი მხოლოდ აშინებს სერბიასა და ჩერნოგორიასო. დარწმუნებულნი არიან აგრეთვე რომ რუსეთიც არ დაიწყებს ომს სერბიის გულისთვის, რომ იზვოლსკი ეცდება სერბია დააშოშმინოს და ომი ააცილოს თავს, როგორც პატარა სერბიას, ისე დიდ რუსეთსაო, რომელმაც ამ ჟამად შინაც ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელიო. ეს აზრი ჯერ-ჯერობით მაინც გამართლდა კიდეც. გუშინ დეპეშამ გვაცნობა, რომ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სიდინჯე, ზომიერება და მოცდა ურჩია სერბიას და სერბიის ახალი სამინისტროც დაჰპირდა, რომ ყოველნაირად დავიცავთ მშვიდობიანობას და დიდ სახელმწიფოების განაჩენს მოვუცადითო.

# ოსმალეთი

**ქიამილ-ფაშას დაცემა და ხილმი-ფაშა.**

როგორც უკვე ვიცით, ოსმალეთის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა დიდ ვეზირს ქიამილ-ფაშას და ამით იძულებულ ჰყო იგი თანამდებობიდან გადამდგარიყო. ეს გამარჯვება უმთავრესად „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის უნარი იყო. კომიტეტმა კიდევ ერთხელ დაამარცხა მტერი და ამით ძლიერ გაუმაგრა ნიადაგი ოსმალეთის ნორჩ კონსტიტუციას.

ეხლა ოსმალეთის სამინისტროს სათავეში დგას შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი ჰუსეინ ხილმი-ფაშა. ახალ დიდ ვეზირის დასახასიათებლად გაზეთებს მოჰყავთ მისი წერილი, ქიამილ-ფაშასთან მიწერილი, რომელშიაც ხილმი-ფაშა გამოსთქვამს თავის შეხედულებას კონსტიტუციონურ მინისტრის მოვალეობაზე. იგი სწერს ქიამილ-ფაშას; „უცხოეთის გაზეთებში წავიკითხე დეპეშა, ვითომ სტამბოლში სულთნის წინააღმდეგ მოეწყოთ შეთქმულობა და ვითომ ამ შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო მინისტრი და „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი. წაკითხვის უმალ ეს ამბავი თქვენც მოგახსენეთ. თქვენ გამომიცხადეთ მაშინ, რომ უკვე 15 დღეა, რაც მივიღე ცნობა შეთქმულობის შესახებო. მე მაშინ უსარგებლოდ ჩავთვალე ლაპარაკი იმაზე, რომ კონსტიტუციონური მინისტრები საერთოდ აგებენ პასუხს ყოველ საქმეში და აუცილებლად ერთად თათბირობენ ყველა შინაგან თუ გარეშე საქმეზე. თქვენ თითონაც კარგად უნდა გცოდნოდათ ესა.

მიიღეთ თუ არა ცნობა სულთნის წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ, თქვენ მოვალენი იყავით დაუყოვნებლივ შეგეკრიბათ მინისტრთა საბჭო, რომელიც თქვენთან ერთად აგებს პასუხს ყველა სახელმწიფო საქმეში... მაგრამ გუშინდელ კრებამდე თქვენ არ მოახდინეთ ეგეთი განკარგულება... ეს გადაჭრით ამტკიცებს, რომ თქვენ არა სცემთ პატივს მინისტრების საერთო პასუხის გების წესსა და საკმაო ნდობა არა გქონიათ მათდამი.

ამიტომ მე მოვალე ვარ სამსახურიდან გადავდგე და უარი ვთქვა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობაზე“.

ახალ დიდ ვეზირის მიერ ასეთი მტკიცე ასრულება კონსტიტუციონურ წესებისა, გაზეთების აზრით, არის უკეთესი თავდები, რომ ოსმალეთის ნორჩი კონსტიტუცია მკვიდრ ნიადაგზე დგასო.

ოსმალური პრესსა ქებათა ქებას ასხავს ახალ დიდ ვეზირს და ამასთანავე მკაცრადა ჰგმობს ქიამილ-ფაშას.

გაზ. „ტანინ“-ი ამნაირად ხსნის ქიამილ-ფაშას მოქმედებას: „საპარლამენტო კომისიამ, რომელიც იძიებდა ძველ რეჟიმის დროის სახელმწიფო ბოროტ-მოქმედებას, აღმოაჩინა საბუთები, რომლებიც სახელს უტეხდნენ ქიამილ-ფაშას. დიდ ვეზირმა სირცხვილის თავიდან ასაშორებლად გადასწყვიტა კომისიის სხდომების შეწყვეტა და რაიმე საბუთით დეპუტატთა პალატის დათხოვნა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ჯერ დამარცხება „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტისა. აი სწორედ ამ აზრით შეთხზეს შეთქმულობა სულთნის წინააღმდეგ და ამ საქმეში გარიეს სამხედრო მინისტრი ალი-რიზა, რომელსაც დიდი სახელი აქვს დამსახურებული ჯარში და ამიტომ დიდ ძალას წარმოადგენს კომიტეტისთვის. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ალი-რიზა წევრია კომიტეტისა.

სხვა გაზეთები ირწმუნებიან, რომ სულთნის კამარილიამ (კარის კაცებმა) ჩააგონეს ქიამილ-ფაშას, ვითომ კომიტეტს აღარავითარი ძალა აღარა აქვს და დადგა დრო მისი გაჩანაგურებისაო. ამიტომ დიდმა ვეზირმა თავდაპირველად მოინდომა სტამბოლიდან სალონიკელ ჯარისა და ფლოტის მოშორება და სამხედრო და საზღვაო მინისტრების გადაყენება, მაგრამ არც ჯარი, არც ფლოტი და არც მინისტრები არ დაემორჩილნენ დიდ ვეზირის ბრძანებას და ბოლოს საქმე ისე დატრიალდა, რომ ქიამილ-ფაშა თითონვე იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ქიამილ-ფაშის სამინისტროს დამარცხებით, „ერთობისა და პროგრესის კომიტეტმა“ დიდი სახელი მოიხვეჭა შინ თუ გარედ; იგი ყველას თვალში ხელახლად გახდა გმირად. კომიტეტის ორგანო „ტანინი“-ი სწერს, რომ ამ ჟამად ოსმალეთის იმპერიაში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს კომიტეტთან ბრძოლა. მხოლოდ თავისუფლების ბეც მტრებს შეუძლიანთ ოცნებობა იმაზე, რომ დიდი ვეზირი ერთის კალმის მოსმით მოახერხებს ისეთის მძლავრის ორგანიზაციის მოსპობას, როგორიც არის ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი“ ჩვენი მხარე უჭირავს ხალხს, ჯარს და თავდაპირველად იმ მესამე კორპუსს, რომლის მოშორება სტამბოლიდან მოინდომა ქიამილ-ფაშამ.

# სასამართლო

**სიკვდილი სამ კაცს.**

14 თებერვალს კავკ. სამხედრო-ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბესა იონ პაპიაშვილისა, ლევ. მათიაშვილისა და გ. მამაცაშვილისა, რომელთაც თავდასხმა ბრალდებოდათ. 1907 წელს 17 დეკემბერს ტფილისში ვიღაცები თავს დაეცნენ პატრიოტულ საზოგადოების ცნობილ წევრებს პერუშკინს, ბალდუნოვს და კამიშინს. ესროლეს ყუმბარა და დაუშინეს რევოლვერები, ამ სროლის დროს დასჭრეს პერიშკინი და მისი დამცველი ალი-შეიხოღლი. ამ საქმის გამო დააპატიმრეს და სამხედრო სამართალში მისცეს ზემოდ აღნიშნული პირები.

ბრალდებულებს იცავდნენ ნაფ. ვექილები ი. კაჩუხოვი და ბროდსკი, მაგრამ ვექილებმა დაცვაზე უარი განაცხადეს, რადგან მათ საშუალება არ მიეცათ მოწმეების სასამართლოში დაბარებისა. საქმის გარჩევამ ორს დღეს გასტანა. განაჩენი გამოაცხადეს კვირას, 15 თებერვალს. სამხედრო სასამართლომ სამივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო და სამივეს სიკვდილით მიუსაჯა.

# რუსეთი

**მოწამვლა.** როგორც ვიცით, ალექსანდროვის ციხიდან გაქცეულ თხუთმეტ კატორგელს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. რუსეთის გაზეთების სიტყვით, თხუთმეტსავე კაცს საწამლავი დაულევია. ერთი უკვე გარდაცვლილა, დანარჩენები საშიშ მდგომარეობაში არიან თურმე.

**რევიზია.** „კიევსკაია ვესტ.“-ის სიტყვით, კიევში გუბერნატორის მიერ დანიშნულ რევიზიას ქალაქის შუაგულში საიდუმლო საროსკიპო სახლები აღმოუჩენია. საროსკიპო სახლები პოლიციის მფარველობის ქვეშ ყოფილან, პოლიცია დიდ ქრთამებს იღებდა თურმე. მარტო ერთ საპოლიციო ნაწილში 15 უბნის ზედამხედველიდან შვიდი მონაწილეობას იღებდა თურმე ამ ბოროტ-მოქმედებაში.

**პურიშკევიჩი.** პურიშკევიჩს ქ-ნ ფილოსოფოვისთვის მეორე წერილი გაუგზავნია და კვლავ შეურაცხყოფა მიუყენებია. აი წერილის შინაარსიც: „მოწყალეო ქ-ნო ანნა პავლეს ასულო! გაზეთებიდან გავიგე, თუ რა შთაბეჭდილება მოუხდენია თქვენზე ჩემი წერილის ზოგიერთ ადგილს, რომელიც შეეხებოდა თქვენ, ქალურ, მოსირცხვილობას, ამიტომ მოვალედ ვრაცხ თავს დაგარწმუნოთ, რომ მე სრულიადაც არა მსურდა შეურაცხყოფა მომეყენებინა თქვენთვის, როგორც ქალისთვის, რადგან ვიცოდი, რომ თქვენ უარ-ჰყოფთ იმ გარანტიებს, რომელიც კულტურულმა საზოგადოებამ მიანიჭა ქალებს და რომ მამაკაცთან გათანასწორების მოსურნე ბრძანდებოდით (ეხლა გინება მოდაშია). ვხედავ რა თქვენსა და ჩემს შეცდომას, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენი სიტყვები თქვენ საქმეს არ შეეგუება (თუმცა თქვენ შეურაცხყოფილად ჩასთვალეთ თქვენი თავი, მხოლოდ 47 დღის შემდეგ, მაგრამ მაინც შეურაცხყოფილად ჩასთვალეთ). გთხოვთ მიიღოთ ჩემი ბოდიში. თქვენ მაგალითზე ნათლად დავინახე ჩემის შეხედულების სიმართლე, რომ თქვენი იდეები ყალბია. მართლაც, ანნა პავლეს ასულო, რამდენადაც არ უნდა ეცადოს ზნეობრივად დამახინჯდეს ქალი, იგი მაინც მარტოდ ქალად დარჩება. თქვენი მაგალითი ამას ნათლად ამტკიცებს“. თქვენი ღრმად პატივის მცემელი ვლადიმირ პურიშკევიჩი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა ვას. აბაშიძის სასარგებლოდ.**

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვასილ აბაშიძე შეუძლოდ არის. ექიმების სიტყვით, მას მკურნალობა სჭირია. დღეს ახალ თეატრში ავადმყოფ არტისტის სასარგებლოდ წარმოდგენასა მართავენ და იმედია ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება, მით უმეტეს, ამ სადამოთი სდგამენ ახალ ორიგინალურ პიესას—„საბედისწერო დამბაჩა“-ს, ტრიფონ რამიშვილისა. როგორც გვაცნობებს შინაარსი პიესისა შემდეგია:

პიესაში გამოყვანილია შეძლებულ თავადის ოჯახი. თ-დ ელეფთერის სამ შვილში ორია ცოცხალი. ვაჟი, ექიმი რეზიკო, და გასათხოვარი ქალი, ხვარამზე. უფროსი ვაჟი კი მოხუც მამას თვალსდაც გაუგიჟდა. მან მოულოდნელად მოჰკლა დედა და, როცა გონს მოვიდა, თავი დაიხრჩო. დრამა იწყება იმ მომენტიდან, როცა იმ უბედურების სუსხი ცოტათი განელდა და ოჯახში კვლავ მეარდება მყუდრო ცხოვრება. მამის უპირველეს საზრუნავს პირმშო ქალის ბედ-იღბალი შეადგენს. მისი გულწრფელი სურვილია მიათხოვოს იგი სამსახურ გარეშე მყოფ გენერლის თ-დ მანუჩარის ვაჟს დათას, რომელსაც მოსწონს თავადის ასული, მაგრამ რეზიკო მასის განზრახვას წინ აღუდგება იმ მოსაზრებით, რომ ხვარამზეს ეს კავშირი დაჰღუპავს, და მიუთითებს ახალგაზრდა ჯან-დონით საესე აგრონომ ელიზბარ უარაძიაშვილზე, რომელსაც შესაფერი განათლებაც აქვს მიღებული. იგი ხალხის წრიდან გამოსული ყმაწვილი კაცია. ხვარამზე და ის ეტრფიან კიდეც ერთმანეთს. თუმცა მამა-თავადი, ელიზბარშა ვერავითარ წუნს ვერა ჰხედავს იმის გარდა, რომ იგი მისი ნაყმევ გლეხის შვილია, მაგრამ მაინც უარობს. უარობს ვითარცა კაცი შეპყრობილი წოდებრივის ცრუ წარმოდგენით, მაგრამ ექიმი ვაჟის აღსარების შემდეგ, რომ ისიც, რეზიკო, უფროსი ძმის უკურნებელ სენითაა შეპყრობილი, რომ ერთად ერთი ხსნა ჭირიან ოჯახის მოსაბრუნებლად ელიზბარშია, ელეფთერი, თავის სურვილის წინააღმდეგ, თანხმდება და მით ხვარამზეს მომავალიც იხარხება.

პიესის სათაური „საბედისწერო დამბაჩაა“. ეს დამბაჩა გადამენებულ თ-დ ხარატიშვილთა საგვარეულო სამკაულია, რომლითაც ბევრმა მოისწრაფა სიცოცხლე. უკანასკნელი მსხვერპლი ელეფთერის ცოლის ძმა ვიქტორ ხარატაშვილი იყო, რომელიც ძლიერ უყვარდა რეზიკოს, უყვარდა აგრეთვე ბავშობიდან რადგან ანგარიშ მიუცემლად მისი დამბაჩა. ამისთვის ძია ვიქტორმა თავის სიკვდილის შემდეგ ექიმ-დისწულს უანდერძა დამბაჩა საბედისწერო, რომელიც ყველას აშინებდა, რომელსაც ყველანი გაურბოდნენ. და აი ხვარამზეს უბედური, ავადმყოფი ძმა რეზიკო თავს იკლავს ზემოხსენებულ იარაღით დის ქორწილის დღეს. თ-დ ელეფთერის უბედურების დასაბამი სოფელ ხარატიანშია ცოლის მხრით.

„საბედისწერო დამბაჩა“-ს გარდა, დღესვე წარმოდგენილი იქნება პოდპოლიტიკური ბუფონადა პოტაპენკოსი „სიზმარი ტაიანი სოვეტნიკისა“. ეს პიესა დღემდე აკრძალული იყო.

---

**ერევანი** 31 იანვარს ერევანში გაიმართა მესამე ქართული სალამო ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. მართალია, საერთო კრებაზედ სალამოს ხელმძღვანელად არჩეულ იქნა თორმეტ პირამდის, მაგრამ ფაქტიურად სალამოს მომწყობნი ბ. მაყაშვილი და მისი მეუღლე იყვნენ.

პირველი სალამო ერევანში მცხოვრებმა ქართველებმა გამართეს 1903 წ., მეორე—1908 წ., მხოლოდ მესამე—მიმდინარე წელს. გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ერევანში ქართული სალამოების საქმე თანდათან უკან მიდის. 1903 წ. სამაგალითო სალამო იყო, მშვენიერი და შინაარსიანი პროგრამმა საუცხოვოდ იქმნა შესრულებული. მაშინ მგალობელთა გუნდს განაგებდა ბ-ნი მრევლიშვილი, რომელმაც საუცხოვოდ მოამზადა სიმღერების განყოფილება. პირველმა ქართულმა სალამომ ერევანში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზედ, განურჩევლად ეროვნებისა, რომ შემდეგ წლებში კითხულობდნენ: „რატომ ქართველები აღარა მართავენ სალამოსაო“.

მეორე სალამო გაიმართა 1908 წელს, მაგრამ იგი ბევრად ჩამოუვარდებოდა პირველს, თუმცა, წლევანდელი სალამოსთან შედარებით, გაცილებით უკეთესი იყო. რაც შეეხება წლევანდელ სალამოს, გამოტეხით უნდა ვთქვათ, რომ უმჯობესი იქნებოდა, სულაც არ გაემართნათ. ჩვენის აზრით, მარტო ფულის შეკრება კი არ უნდა დაისახოს აზრად სალამოს გამმართველებმა, საზოგადოების სიამოვნებაც უნდა იქონიონ სახეში. თავდაპირველად სალამოს მომწყობებმა მეტად ერთ-ფეროვანი პროგრამმა შეადგინეს. დასდგეს ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. პიესა შეამოკლეს, მაგრამ მაინც მეტად გაპიანურებული გამოვიდა. სალამოს დასაწყისი რვა საათზედ იყო გამოცხადებული, ფარდა კი აიხადა თითქმის ცხრა საათზედ. დამსწრე საზოგადოება მოიღალა, ვიდრე პიესა გათავდებოდა. დარბაზიდან ველარავინ ვერას ჰხედავდა, რა ჰხდებოდა სცენაზედ, რადგან სასხდომი ადგილები ნახევარ ხალხსაც არ გაჰხვდა. ყველანი წინ იწევდნენ, გაისმოდა ხმაურობა,—„დასხედით, დასხედით“, მაგრამ გამგონი ვინ იყო? ბოლოს ისინიც ფეხზედ ადგნენ, ვისაც ადგილები ჰქონდათ და აირია მონასტერი. ბევრი, მეტადრე მცირე ტანისანი, სკამებზედ შესკუპდნენ, რომ წინ მდგომ მეზობელზედ მაღალი ყოფილიყო. პიესა შეასრულეს საშუალოდ, მეტიც არ მოეთხოვებათ სცენის მოყვარეთ. ძალიან კარგი იყო ავეტიქას როლში ბ-ნი სარჯველაძე. გიქუას როლში სუსტობდა ბ. მაყაშვილი, რომლის დაყინებითაც დასდგეს ეს პიესა. საერთო კრებაზედ, როდესაც კამათი გამოიწვია პიესის დადგმამ, თხოულობდნენ პატარა ვოდევილის დადგმას, მაგრამ ბოლოს, ისევ ბ. მ—შვილმა გაიმარჯვა და დასდგა ზემო აღნიშნული კომედია.

პიესის მერე გამართა ცოცხალი სურათები. სურათები ძალიან კარგი იყო, მაგრამ მეტად დიდი დრო გადიოდა სურათიდან სურათამდის. დამსწრეთ მოთმინების ფიალა აევსოთ და დიდის ხმაურობით და ტაშის ცემით თხოულობდნენ ფარდის ახდას. ბ-ნი ვოლნიცკი, რომელმაც დასდგა ცოცხალი სურათები, მადლობის ღირსია, რადგან შარშანაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ცოცხალ სურათების დადგმაში და ორჯელვე ხელოვნურად შეასრულა საქმე.

მესამე განყოფილება სალამოსი შესდგებოდა სიმღერებისგან. ჩვენის აზრით, ეს განყოფილება უნდა ყოფილიყო უმთავრესი და მდიდარი, ნამდვილად-კი ყველაზედ გაქუცული და საცოდავი ეს განყოფილება გამოდგა. ბევრნი მოუთმენლად ელოდდნენ სიმღერებს, ეგონათ, ჩვეულებრივად წარსული სალამოებისა, მოვისმენთ ტკბილს და მწყობრ ქართულ სიმღერებსაო, მაგრამ მოსტყუვდნენ. მომღერალთა გუნდი შესდგებოდა ქალ-ვაჟთაგან, რომელთა შორისაც ბევრი რუსიც ერია. ეს „უკანასკნელნი დიდი მადლობის ღირსნი არიან ერევნელ ქართველების მხრით, რადგან ყოველ ქართულ სალამოს გამართვაში გულმოდგინე მონაწილეობას იღებენ. საყურადღებოა ის, რომ ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო მუყაითად ეკიდებიან სიმღერების მომზადებას ვიდრე ქართველები.

მომღერალთა გუნდმა, რომელსაც ლოტბარობდა განგებ ამ სალამოსთვის მოწვეული ბ-ნი კავსაძე, შეასრულა ექვსი სიმღერა. პირველმა სიმღერამ, „სოლომონ მეფე“-მ, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა საზოგადოებაზე, არც ერთმა ადამიანმა ტაში არ დაჰკრა. მეორე სიმღერა „მიდის გემი“, პირველი ნახევარი შეასრულეს, მხოლოდ მეორე ნახევარი კი ჩაყლაპეს. თუ ვერ შეისწავლეს მთლად, ძალას ვინ ატანდათ, სულაც ნუ მოათავსებდნენ პროგრამმაში. „ვარადო“-ც უფერული და უგემური იყო. რაც შეეხება „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“-ს ისე ცუდად შეასრულეს, რომ უმჯობესი იქნებოდა სულაც არ ემღერნათ. ბარიტონის სოლოს ამბობდა ბ-ნი კავსაძე, მეტად ჩქარობდა, სიტყვები არ ისმოდა. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სათამაშო სიმღერა, რომელიც ბოლოს იმღერეს, მეტად დამახინჯებულია. ეს სიმღერა კახურია, იწყება დინჯად, მკაფიოდ, მხოლოდ ტაშის ცემასთან ერთად თან და თან უჩქარებენ კილოსაც. ბ-ნმა კავსაძემ ეს სიმღერა შარშანაც შეასრულა ერევანში და, სამწუხაროდ, ორჯელვე დამახინჯებულად.

ბ-ნმა კავსაძემ შეასრულა ცალკე ორი სიმღერა: „ურმული“ და „გადმიშვი მთაო“. ორივე სიმღერას არა უკვრდა-რა. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნება, რომ ბ-ნმა კავსაძემ ეს ორივე სიმღერა მთვარიან ღამეში (სცენაზე მთვარის შუქზედ) იმღეროს ხოლმე და არა ჯოჯოხეთურ სიბნელეში. სამწუხაროდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ლოტბარსა და მომღერალთა შორის არა ჰსუფევდა შეთანხმება. მ. გ., მოითხოვეს სათამაშო სიმღერისა და ლეკურის თამაშობის გამეორება. ფარდა აიხადა, სცენაზედ ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემოდიოდნენ მგალობლები, სცენის შუაზედ თავმოყრით დადგნენ ყველანი, ვიღაცას ელოდნენ კიდევ კულისებიდან. ილაპარაკეს, იცინეს, ბოლოს ბ-ნი კავსაძე გაჯავრდა და ხელის ჩაქნევით გავიდა სცენიდან. რასაკვირველია მგალობლებიც დაიფანტნენ და ფარდა ჩამოუშვეს. ვერ გავიგეთ, რად მოიქცნენ ესე.

ბ-ნ კავსაძეს მოუთხოვნია ათი პროცენტი მთელი შემოსავლისა, მაგრამ სალამოს მმართველთ, როგორც გადმომცეს, გადაჭრით ათი თუმანი მიუციათ. თუ ასე ძვირად დაჯდებოდა, შეიძლებოდა ერევანშივე ენახათ ისეთი კაცი, რომელიც მოამზადებდა ხოროს. 7 დეკემბერს აკაკი წერეთლის იუბილეისთვის მგალობელთა გუნდი მოამზადა ბ-ნმა კასრაძემ (ერევნის სასტატო სემინარიის გალობის მასწავლებელია). გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა მშვენივრად და დამსწრე საზოგადოებამ ყოველი სიმღერა ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. ნუ თუ არ იცოდნენ, რომ ორ-სამ დღეში ბ-ნი კავსაძე ჯეროვანად ვერ მოამზადებდა სიმღერებს? კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ იმ პირობებში და იმ ხელ-შეწყობით, რომელშიაც ჩაყენებული იყო ბ-ნი კავსაძე, მიუხედავად მისის ნიჭისა და ლოტბარობის უნარისა, ვერ მოამზადებდა ბ-ნ კასრაძეზედ უკეთესად. პირიქით, დარწმუნებულნი ვართ, ზოგიერთებს კასრაძე რომ არ გაეჯავრებინათ, სიმღერების განყოფილება უფრო მდიდარი იქნებოდა. პირველ ხანებში მიიწვიეს ბ. კასრაძე. დაიწყო მზადება და რამდენიმე დღის შემდეგ გაავრცელეს ხმა, რომ კავსაძე უნდა მოვიწვიოთ, თორემ სალამო უფერულად ჩაივლისო. კასრაძე იძულებული გახდა თავი მიენებებინა.

ამ სალამოს „დასამშვენებლად“ კაცები ბაქოდან გამოიწერეს საზანდარი და მომღერალი თათარი. ამბობენ, სასყიდლად დაუნიშნეს 150 მ. რამდენ დაც გავიგეთ, ამ საზანდრისა და მომღერალ თათრის მოწვევა საკუთარი ინიციატივა ყოფილა ბ-ნ მაყაშვილისა. საზანდარი ერევანშიაც არის; სასყიდელი მოითხოვეს 30 მ. ვკითხოთ ბ-ნ მ—შვილს, რა მოსაზრებით მისცა ბაქოელ მომღერლებს 120 მ. მეტი?

დეკორატიული მხარე სალამოსი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟენერი ბ-ნი ჩხეიძე, საუცხოვოდ და მოხდენილად იყო მოწყობილი.

შემოსავლის გადიდებისთვის ერთ უცნაურ საშუალებას მიმართეს სალამოს გამმართველებმა: დააბეჭდინეს რამდენიმე ასი ცალი საპატიო ბილეთი და ვისაც არა მგონია მიაჩეჩეს ხელში. საპატიო ბილეთებს ბევრი ემალებოდა, ბევრმა კი პირშივე უთხრა ბილეთების დამრიგებელთ: „გვაპატიეთ, ჩვენ ვერ მივიღებთ თქვენ საპატიო ბილეთსაო“. იყო მაგალითი, რომ ერთსა და იმავე პირთან ორმა მიიტანა საპატიო ბილეთი, სხვა და სხვა დროს.

დასასრულს ვახშამი გამართეს, რომელსაც დაესწრო 50 სულამდის. მათში ერივნენ ისეთნიც, რომელთაც არავითარი მონაწილება არ მიუღიათ სალამოს გამართვაში. სასურველია, ვიცოდეთ, რომელ წყაროდგან გადაიხდიან ამ ვახშმის ფულს? კარგი ოინი იქნება, ესეც საერთო შემოსავალს გამოაკლიჯონ! გამოდის, რომ კერძო პირთათვის და საკუთარ სიამოვნებისთვის მართავენ სალამოებს და არა საქველ-მოქმედო აზრით.

სხვათა შორის გადმოგვცეს, რომ ვახშმის დროს ქულაჯაში გამოწყობილ ყმაწვილებს უცდიათ თავიანთ მაჯა და საქმე ხმალ-ხანჯლამდის მიუღლა. ამბობენ, მომღერალი თათარი, რომელიც ბაქოდან გამოიწერეს, ცოტად ცხვირში დასჭრა ერთმა ახალგაზრდამ. მიზეზად ის მოუღვია, რატომ ფეხებში არ მიყურებ, როცა ლეკურს ვთამაშობო. სირცხვილია, მეტი რომ არა ვთქვათ!

სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრო და შემოსავალიც დიდი უნდა იყოს. წელს მაინც გამოაცხადონ სალამოს გამმართველებმა შემოსავალ-გასავლის ანგარიში. შარშანდელ სალამოს ანგარიში, რამდენადაც გვახსოვს, არც ერთ გაზეთში არ იყო გამოცხადებული; სასურველია, იმ ფულის ანგარიშის გამოქვეყნებაც, რომელიც შეჰკრიბეს აკაკის ფონდის სასარგებლოდ.

**ინწორის პირელი.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე შებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლეგამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—12)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—28)

# თესლეულობის

მაღაზია კიწმარიშვილის და ამხ.-სა **ქუთაისში**, პუშკინის ქუჩა, უპრავის ქვეშ.

მიღებულია საუკეთესო ჯიშების იონჯის, სამყურის, კონიდრების, ბჟოლის, ეკლის ხის (ГЛЕДИЧЪ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—13)


სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.